# ႫႜႥႠႬႤ ႰႳႲႠ

## ლიტვური ხალხური სიმღერები

კავკასიური სახლი
თბილისი
2008

This publication is financed by the Department of national minorities and Lithuanians living abroad under the government of the Republic of Lithuania.

წიგნი გამოიცა ლიტვის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ნაციონალური უმცირესობისა და ემიგრაციის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით.

მთავარი რედაქტორი: ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲘᲫᲔ

პასუხისმგებელი რედაქტორი: ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲙᲐᲘᲨᲐᲣᲠᲘ

ბწკარედული თარგმანი: ᲕᲘᲠᲒᲘᲜᲘᲐ ᲢᲘᲛᲘᲜᲡᲙᲐᲘᲢᲔ
ᲛᲖᲘᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მხატვარი: ᲥᲔᲗᲘ ᲛᲐᲢᲐᲑᲔᲚᲘ

ISBN 978-9941-400-20-9

ეძღვნება ოთარ ნოდიას
ნათელ ხსოვნას

---

## წინასიტყვაობის მაგიერ

ყოველი ერის სიხარული, ტკივილი თუ საზრუნავი, ყოველი მიქცევ-მოქცევა მისი აზროვნებისა, ყველაზე უკეთ ზეპირსიტყვიერებაში იჩენს ხოლმე თავს და რაკი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სიმღერები, ზღაპრები, ლეგენდები თუ თქმულებები ხალხის ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი იყო, სჯობს, თუ კი რომელიმე ერის გაცნობა გადაწყვიტეთ, ეს ნაცნობობა ხალხური შემოქმედებით დაიწყოთ.

ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, დაიბადა იდეა, ქართულად თარგმნილიყო ბალტიისპირელთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ეს საქმე დაიწყო ლიტვური ხალხური სიმღერების შერჩევით, რადგანაც ლიტვური ფოლკლორის თავისებურება ის გახლავთ, რომ ეს არაა ზეპირსიტყვიერება ჩვეული გაგებით. ლიტველი ხალხი ლექსსა და მელოდიას ერთდროულად ქმნიდა. აქ პრიორიტეტი ქალებს ეკუთვნოდათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ წიგნს „მწვანე რუტა" ჰქვია.

რუტა თეთრ, ვარდისფერ ან ცისფერყვავილიანი ბალახია და ქართველები მას ბუჩქისძირას ვეძახით. ლიტ-

ვურ ფოლკლორში ის ქალის ბედისა თუ უბედობის სიმბოლოა. ამიტომაც მიმართავენ მშვენიერი ლიტველი ქალიშვილები მას ვედრებით, დაცვისა თუ შეწყალების თხოვნით. რუტას კეთილი ყვავილობა ქალის ბედნიერების დასტურია, ხოლო დამჭკნარი, გათელილი თუ მოთიბული რუტა – ქალის მძიმე ხვედრისა.

უცნაურია, მაგრამ ჩვენს „რუტასაც“ „მძიმე“ ბედი დაჰყვა. დრო დასჭირდა სიმღერების შერჩევას. შემდეგ იყო ძალზე საპასუხისმგებლო სამუშაო – ბწკარედული თარგმანი, რომელსაც ბრწყინვალედ გაართვეს თავი ქალბატონებმა, ვირგინია ტიმინსკაიტემ და მზია გელაშვილმა. ხოლო საუკეთესო მთარგმნელთა ჯგუფმა კეთილად გაასრულა ამ ორი ქალბატონის დაწყებული საქმე.

სამწუხაროდ, კოლეგიაში გაჩენილმა ხანძარმა თითქმის მომზადებული წიგნის ნახევარი შეიწირა. ის, რაც გადარჩა, დიდხანს იყო შემოდებული თაროზე და თავის დროს უცდიდა სამზეოზე გამოსასვლელად. ეს დროც დადგა. მიუხედავად იმისა, რომ ჩაფიქრებული იყო ამ ორი ტომის ჟანრებად დაყოფა და თემატიკის მიხედვით დაჯგუფება, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ იმავე სახით დაგვეტოვებინა, როგორითაც შემოგვრჩა. ვფიქრობთ, ასეც საინტერესოა.

## მწვანე რუტავ

მიიწურა უკვე დღე და
მზე დგას სივრცის დასასრულთან.
ტოტებს ქარგავს მზის სხივები,
მწვანე რუტავ, მწვანე რუტავ.

დაინამა ჩემი ეანა,
ცის კალთები ჩამომწუხრდა,
რუტავ, სახლში რად არ მიშვებ,
მწვანე რუტავ, მწვანე რუტავ.

ერთი დღით შორს გაქცეული
ღამე ისევ შემობრუნდა.
სახლში შენ თუ არ გამიშვებ
მზე გამიშვებს, მწვანე რუტავ.

ვარსკვლავები გამიშვებენ,
თან მომდევენ გუნდა-გუნდად.
რუტავ, დედა მელოდება
მწვანე რუტავ,მწვანე რუტავ.

რა ხანია დგას ჭიშკართან,
ჩამობნელდა უკვე სულმთლად.
დედა მაინც მელოდება
მწვანე რუტავ,მწვანე რუტავ.

ტკბილი ღვინით მელოდება:
— გეწყურება, ჩემო სუნთქვავ.
— პური ჭამე, გეშიება,
მწვანე რუტავ,მწვანე რუტავ.

მწვანე რუტავ, შინ გამიშვი,
დედა მიცდის სახლის ზღურბლთან.
დავისვენებ, დავიძინებ,
სიზმრად გნახავ, მწვანე რუტავ.

## რად ტირი, ლამაზო ასულო

რად ტირი, ლამაზო ასულო,
შროშანო, ცრემლი რად გდისა?
მითხარი, არ გიყვარს ქმარი,
არ მოგწონს სასახლე ქმრისა?
მითხარი, არ გიყვარს ქმარი,
არ მოგწონს სასახლე ქმრისა?

ქმრის სახლიც მომწონს და ქმარიც,
ეს ველიც მომწონს და მთებიც.
მაგრამ აქ, ამ უცხო მხარეს
ვერ ვხარობ, ვერ ვსუნთქავ შვებით.
მაგრამ აქ, ამ უცხო მხარეს
ვერ ვხარობ, ვერ ვსუნთქავ შვებით.

ო, წავალ დედასთან შინა,
ო, დედის ალერსი მწყურის.
შევჩივლებ ჩემს დარდს და ნაღველს,
იქნებ დავიმშვიდო გული.
შევჩივლებ ჩემს დარდს და ნაღველს
იქნებ დავიმშვიდო გული.

ნუ წახვალ ასულო, შინა,
შინისკენ ნუ იწვდი ხელებს.
სამეურა დაფარავს ბილიკს,

გზები ჩაუხერგავთ ტყეებს.
სამყურა დაფარავს ბილიკს,
გზები ჩაუხერგავთ ტყეებს.

ო, წავალ, მე მაინც წავალ,
ქმარო, ნუ მაკავებ ძალით.
სამყურას გავთელავ ფეხით
და ტყის ამოძირკვაც მალმიძს.
სამყურას გავთელავ ფეხით
და ტყის ამოძირკვაც მალმიძს.

ნუ წახვალ, შროშანო, შინა,
ნუ დაგდის, შროშანო, ცრემლი.
გზაა მუხნარივით უღრანი,
ზღვასავით უნდო და ვრცელი.
გზაა მუხნარივით უღრანი,
ზღვასავით უნდო და ვრცელი.

ო, წავალ, მე მაინც წავალ,
როგორმე გავიგნებ გზასა.
გადავაფრინდები მუხნარს,
გავცურავ, გავცურავ ზღვასაც.
გადავაფრინდები მუხნარს,
გავცურავ, გავცურავ ზღვასაც.

# ეს რა პატარძალი ვნახე

ეს რა პატარძალი ვნახე.
კაცი უცბად ვიქეც შტერად.
ეს რა პატარძალი ვნახე.
სქელტუჩა და კბილმეჩხერა.
ისე ლოყავს ენით დორბლებს,
თითქოს დასდევს კატა თაგვსა.
ჰა, კუთხეში მიიმწყვდია,
მიიმწყვდია, გადასანსლა.
შავ ღოჯებში წურავს კისელს,
დაწურავს და გადაულაპავს.
ეს რა პატარძალი ვნახე —
პატარძალი სამღაბაბა.
ერთ ღაბაბში ცინდლები ჰყავს,
მეორეში წრუწუნები.
ეს რა პატარძალი ვნახე,
ნეტავი რას უწუნებდით?
იმ მესამე ღაბაბში კი
იჩეკება კვერცხი გედის.
ეს რა პატარძალი ვნახე,
ნამდვილად მშურს საქმროს ბედი.

## მეხობელო, საყვარელო

მეხობელო, საყვარელო,
ნუ აუოვნებ სასმისს დიდხანს,
ხელში რომ არ აგიყვავდეს
შესვი, ალავერდი მითხარ.

დე, აყვავდეს ჭვავი, ქერი,
მოოქროვდეს ყანა ხორბლის.
ჩვენ ვსვათ, უკეთ რომ გავიგოთ
საიდუმლო კაცთა ჯოგის.

## ვზივარ სარკმელთან

რა ხანია ზღვას გავყურებ,
მონანაობს ნავი ზღვაში.
წყნარად არწევს ქარი ღრუბლებს,
აფრებივით ცაზე გაშლილს.

იმ ნავში კი ჭაბუკი ზის,
ჭაბუკი ზის მძლეთამძლეო.
ზღვის ქაფით რომ პირს დაიბანს,
პირს იბანდეს თითქოს მზეო.

ზღვის ქაფით რომ პირს დაიბანს,
თმებს ივარცხნის თევზის ფარფლით.
მერე ზღვაში ბეჭედს აგდებს,
მიაქანებს ტალღა სწრაფი.

ო, ბეჭედო, გასწი შორეთს,
სადაც სატრფო მეგულება
და უამბე ჩემი გულის
სიმართლე და ერთგულება.

## ქსოს გვიდა ასული

ქსოს გვიდა ასული და
თან მოთქვამდა საწყალობლად:
მოვხვეტავ თუ არ მოვხვეტავ,
მე აქ მაინც ვერ დავრჩები.
ვერ გავივლი მწვანე მოლზე,
თუმცა მე აქ ვერ დავრჩები,
ძმები ხომ აქ დარჩებიან,
მათ იარონ მწვანე მოლზე.
აქ მოვწყვიტე წუხელ რუტა,
და გვირგვინიც აქ დავწანი.
იქნებ გაჭყვა გზას და ბილიკს,
გაიტაცა იქნებ წყალმა.
იქნებ ცეცხლში დაიწვა და
ცეცხლზე ღამე ითბობს ხელებს.
მაგრამ გზას რომ გაჭყოლოდა
ნაკვალევით მივაგნებდი,
ანდა წყალს რომ გაეტაცა,
იქცეოდა წყალი მღვრიედ.
ან ცეცხლში რომ დამწვარიყო
რად არა ჩანს არსად ფერფლი?

## ორი მამალი თეთრ ბარდას ცეხვავდა

ორი მამალი თეთრ ბარდას ცეხვავდა,
საცეხველს, საცეხველს უვლიდნენ ფეხმარდად.

ორ დედალს, ორ დედალს მიჰქონდათ წისქვილში,
მიჰქონდათ წისქვილში ვაით და ვიშვიშით.

იქ ვაცი თეთრ ბარდას ხვიმირში აქცევდა,
დოლაბი ღერღავდა და აქუცმაცებდა.

თხა ფქვავდა, ციკანი ფქვილს ცრიდა წვრილადა,
ფქვილი მოდიოდა საცრიდან წვიმადა.

ბუზები ურევდნენ, ცომს ზელდნენ მალიად,
წყალი კი მოჰქონდა კოღოს და კალიას.

ყველა ბეჯითობდა, არავინ ანცობდა,
ბოლოს მზე ხარშავდა და მთვარე აცხობდა.

## ხასხასა მდელოზე დგას მწვანე ცაცხვი

ხასხასა მდელოზე
დგას სამი ცაცხვი.
ანკარა დუნაიც იქვეა ახლოს.
ნაპირთან მოვიდა
ასული სამი
აავსეს სურები ანკარა წყლითა.
მაგრამ ამოვარდა უკმური ქარი
და უცბად გვირგვინი ისროლა წყალში.
იქვე შორიახლო
რაშებს არწყულებდა,
რაშებს არწყულებდა ჭაბუკი სამი.
რა ნახა,
გვირგვინი მიჰქონდა ტალღას.
იმწამსვე შესცურა ერთ-ერთმა წყალში.
ნაპირზე გამოხვალ, –
მე შენი გავხდები,
არადა, ჭაბუკო, ზეცად ამაღლდები.
ვოი, ნურსად იტყვით,
ემაწვილი კაცი
წყალმა რომ დამახრჩო გვირგვინის გამო.
თქვით,
მაშინ დაიხრჩო ემაწვილი კაცი,
ქურანა ბედაურს როცა არწყულებდა.
ვოი, ნუ დამმარხავთ.

იქ, ზემოთ, მთაზე.
ვოი, ნუ დამმარხავთ იქ, ცაცხვის ძირას.
გთხოვთ, რუტას ბაღში
დამმარხოთ სადმე,
სჯობია ბაღჩაში რომ მივწვე ძილად.
რუტას დასაკრეფად აქ მოვა ასული
რუტას დასაკრეფად
აქ მოვა ასული და მეც გამიხსენებს,
დაიწნავს გვირგვინს და
დაიდგამს თავზე,
მერე ატირდება ასული მწარედ,
ის ხოტბას შეასხამს
გმირობას ჩემსას,
და მისი ცრემლები მდინარედ წავა.

## ფრთებო, ქარისაო

ფრთებო, ქარისაო
მაღლა ამაფრინეთ,
ზეცის ბაწმედაო.
ფრთებო, ქარისაო,
მაღლა ამიყვანეთ,
მაღლა ამაფრინეთ,
მაღალ მთაზედაო.
მაღლა მთაზედაო,
ტყე ჭყვავის მწვანედო,
ფრთებო, ქარისაო,
იქ ამიყვანეთო.
იქ მინდა რომ ვიყო,
იმ ტყეში ვიარო,
იმ მაღალ მთაზედა
ვილნიუსიაო.
ვილნიუს ქალაქში
შევალ, ამაყად.
ერთი რამ მწადია,
(მას სხვაგან სად ნახავ),
მწადია ვიყიდო
იქ მაკრატელიო,
კოხტა და ლამაზი,
ბასრი და მჭრელიო.
ტყეს წავალ მაკრატლით,
მაკრატლით მჭრელითა,

ხეებს, ცას შებჯენილს,
ავყვები ქვევიდან.
ავყვები, გავსხიპავ
ტოტებს კენწერომდე.
მთლად მირს ჩამოვფანტავ,
ფიჩხს ფიჩხზე შემოვდებ.
მე სხვა არაფერი
არ მსურს დანარჩენი,
ოღონდ დავინახო
სახლი მამაჩემის.

ჩემი მახლობელნი
იმ სახლში არიან.
იქ, მამის მამულში
სამი ჭიშკარია.
სამი ჭიშკარია
და სამი გზაშარა.
ერთში მზე ამოდის,
მზე თვალებბარჩხალა.
ამოფრთხიალდება
მზის შემდეგ რიჟრაჟიც.
ხოლო მთვარე ჩადის
მეორე ჭიშკარში.
ღამდება. ივსება
გარემო შიშითა.
დას მიაცილებენ
მესამე ჭიშკრიდან.

## ვფქვავ, ვფქვავ მარტო

მთელი ღამე მარტო ვოხრავ,
მარტო ვფქვავ და მარტო ვტირი.
მზე ამოდის, წინ მიყრია,
ფქვილი, ცრემლში აზელილი.

ამ სოფელში სადარდო და
საწუხარი რამდენია.
იმდენი არც დამიფქვია,
რაც ცრემლები დამდენია.

## ოი, მშობელო დედა!

რად გამაჩინე, რად გამზარდე,
მშობელო — დედავ! —
სამარადისოდ წილნაყარი
ტანჯვასთან, ცრემლთან.
ღრმა ტბაში, ანდა მდინარეში
ჩაგეგდე, დედავ,
იქ უდრტვინველად ვიქნებოდი
თევზებთან ერთად.
მზევ ჩადი, მთვარევ გამობრწყინდი
ვარსკვლავთ კრებულით,
რომ ერთი ღამე
ვიყო მაინც მოსვენებული.

## ოქროს ბეჭდიანი თეთრი ხელის ბალადა

მინდვრად სურნელი იგმევა
აყვავებული სამყურის,
აქ მხიარულად მიმოდის
ორი ჭირთეთრი დრაგუნი.
რა გიხალისებთ გულებს, ან
რა საფიქრალი გიტაცებთ,
რად დასეირნობთ, ბიჭებო,
აქ, სილეზიის მიწაზე.
აგერ, მერამ მოფრენილმა
ახლოდან თუ შორიდანა,
მოკვეთილი, ბეჭდიანი,
თეთრი ხელი მომიტანა.
— ჰეი მერავ, შავფრთიანო,
ჟრანტალა ხმით რისთვის მღერი,
თქვი საიდან მოიტანე
ბეჭდიანი თეთრი ხელი?!
— კასტრინიდან!
კასტრინაში
არის ომი სისხლისმღვრელი,
თეთრი, ოქროსბეჭდიანი
იქ ვიპოვე კაცის ხელი.
იქ, არნახულ ჟლეტაში,
და მმას ტირის, დედა-შვილს.
უღვთოდ აკუწულები,

სისხლში ამოსვრილები,
საკუთარი ვერ იცვნეს
ქმრები, ძმები, შვილები.
საკუთარი ვერ იცნეს,
მამა-ბიძა ვინ იყო,
ირგვლივ ლობეებივით
ხმლები ამოწვდილიყო.
შავ-შავ ქუდებს ავსო
ორმოები, თხრილები...
სისხლის მდინარეების
ვარ მომსწრე და მხილველი.
ღმერთო!
სატრფოს ეგ ბეჭედი
მე ვარუქე ომში ოდეს
მიდიოდა, ახლა ცრემლად
ვიღვრები და უხმოდ ვგოდებ.

# დედის მამულში

დედის მამულში
ცაცხვის წვერზე წამოსკუპული
გუგუ, გუგუო
გასძახოდა ერთი გუგული.
მისნურად მიხვდა,
გუგუ, გუგუ იძახა, ვიდრე
არ ამცნო ქალის
გათხოვება იმ სოფლის მკვიდრებს.
გაფრინდებაო ნებიერი
მამის, ბებერის,
მოსიყვარულე ძმების,
დედის მიმშველებელი.
და აი, ცხენებს
უკაზმავენ დაიკოს ძმები,
ჭრელი გუგული
დაფრთხიალებს ეზოში შვებით.
ეტლში, მორთული
პატარძალი, ჩაჯდა თუ არა,
გუგულმა ქროლვით
ეზოს, ღობეს გადაუარა.
მერე კი, როცა
გააქროლეს ეტლი ცხენებმა,
ჭრელი გუგული წინ უძღოდა,
გზას უჩვენებდა.

— დაო, სად დაგეწია
ღამე მორუხ-მოშავო,
ანდა მამლის ყივილმა
სად მოგისწრო, შროშანო.
სად მოგისწრო რიჟრაჟმა,
ნათელი სად დაგიგო,
რომელ მხარეს, სად შეხვდით
მზის ამოსვლას, დაიკო?!
— განთიადმა, იწყება
როს გუგულის ხმობის დრო,
დედამთილის მამულში,
თეთრ სუფრასთან მომისწრო.
— ნეტავ ვინ დაგიშალა
ნაწნავები მოშავო,
ან მბრწყინავი გვირგვინი
ვინ ჩამოგხსნა, შროშანო?!
— გამიშალეს ნაწნავი
მმებმა აქაურებმა,
გვირგვინი კი ჩამომხსნეს
ახალგაზრდა მულებმა.
— გვირგვინი სად ჩამოგხსნეს
დაო, შუქსხივოსანო.
ანდა ქალის ლეჩაქი
სად დაგხურეს შროშანო?!
— აქ ჩამომხსნეს გვირგვინი,
ქმრის მამულში, და-სწორთა

და დამხურეს ლეჩაქი
ახლადგაშლილ საწოლთან.
— ნეტავი სად დაგტუქსა
ქმარმა, დაო საბრალოვ,
ნეტავ სად აგატირა
წუხილმა უსამანომ?!
— ქმარი მაღალ ბეღელში
გამიჯავრდა პირველად,
მტირალს მწადდა წასვლა და
სადმე განაპირება.
— ნეტავი ვინ არიან
შენი დობილ-ძმობილნი,
თუ აქვთ ზნე და ბუნება
შენებრ კეთილშობილი?!
— მართლაც ლამაზები და
სიკეთით შემკულები
ძმობილებად ძმები მყავს,
დობილებად-მულები.

# მატყუარა, ცბიერმა მაჭანკალმა

მატყუარა მაჭანკალმა
მიქო საქმროს სახლ-კარი:
ზღვად ღელავსო ბორცვებზე მისი
სათიბი და სამკალი.
თევზებით აქვს ტბორი სავსე
და ბოსელი — ხარებით,
თავლაში კი ცხენები ჰყავს
ბედაურის დარები.
ქმრის ოჯახი ვერ ვიხილე
ავსებული ბარაქით,
ჭვავის ყანის ნაცვლად ბორცვზე
ბიბინებდა ბალახი.
დამახვედრა ორადორი
თხა, მიმჭკნარი ცურებით,
რა თევზი და რის ხარები
ან რის ბედაურები.
რანაირი ენა ჰქონდა,
ანდა რა საქციელი!
მართლა ჩამოსახრჩობია
მაჭანკალი ცბიერი.

## ოი, ზრდის ზრდის

როგორც ბაღში ავშანს,
მლიერსა და თამამს
ზრდის ვაჟიშვილს მამა.

ჯერ არ დაკაცებულა
მამის ალი-კვალი,
მაინც სალდათებისკენ ბიჭს გაურბის თვალი.

კომწია სალდათებო,
ნუ მიცდუნებთ ვაჟიშვილს,
თორემ თუ აიჩემა, მერე აღარ დაიშლის.

აბა, უფრო
ვინ მიყვარს,
ერთი ვაჟიშვილი მყავს.

— წადი, თუკი ასე გიჯობს,
მინახულებ როდის ბიჭო?!

— მდინარეში როდესაც
ქვები ატივტივდება,
მაშინ გნახო იქნება.

მოგელაობს ქურანი
შეკაზმული ლამაზად,
მტვერს აყენებს გზადაგზა.

მოქრის თავაღერილი,
მოაქვს
მხოლოდ წერილი.

უნაგირზე მიბმულ ბარათს
ვხსნი და...
ტანში შიში მზარავს.

იმ ბარათმა დამცა მეხი,
გამიმხილა გასამხელი:
დამიტოვა ვაჟიშვილმა
მხოლოდ გვარი და სახელი.

## გამოიცან, პატარძალო

— პატარძალო, პატარძალო,
ჭკვიანი ხარ რადგან,
გამოიცან, გამოიცან
უფეხებოდ რა დგას?
— მაშინ რა პატარძალი ვარ,
გონიერი ანდა,
არ ვიცოდე და არ გითხრა
უფეხებოდ რა დგას?
მინდვრად ვნახე თეთრი ქვა,
დავკარ ხელი, არ აძვრა,
უფეხებოდ, უფეხებოდ
ის ლოდი დგას ამაყად.
— პატარძალო ამ კითხვაზეც
პასუხი ჭეშმარიტი
მომაგებე, უფეხებოდ
რა მირბის ან რა მიდის?
— პატარძალი ვიქნებოდი
ჭკუით მართლა ღარიბი,
არ ვიცოდე უფეხებოდ
რა მიდის ან რა მირბის.
გონიერი პატარძალი
ამბობს სახე გაბადრული:
— უფეხებოდ ველმინდვრებზე,
მირბის თეთრი ნაკადული.

— მარჯვე პასუხებისათვის
ღირხარ მარტო ერთ ქალად.
გამოიცან, რა არის
თეთრი შეუფეთქავად?
— ემაგ კითხვის პასუხი
ადვილია ერთთავად.
ეგ ძველია, მითხარი
გამოცანა ახალი.
თეთრი შეუფეთქავად
არყის ხეა მაღალი.
— პატარძალო ნამდვილად
ჭკვიანი ხარ, გხედავ.
ახლა გამოიცანი
სახელები ხეთა.
— ახლაც, როგორც აქამდე
გიპასუხებ მხნედა,
სახელები არა და
არ მეშლება ხეთა.
იოზასი-კოპიტია,
ჭაბუკი-ნეკერჩხალი,
ქალიშვილი-ვერხვი, თან
წერწეტა და ფერმკრთალი.

## მზე აღაჟღაჟდა

დღე ილევა, ღაჟღაჟა მზე
შორს, ზღვაში იმირება,
შინ ვბრუნდები, ძილის დროა,
მაგრამ არ მეძინება.

ქვასაც უჭირს მარტოობა,
უჭირს უმეგობრობა.
მაგრამ კიდევ უფრო უჭირს
ეულ გოგოს ობლობა.

ხედ რომ ვინმე გადაუვლის,
უჭირთ თავად ლოდებსაც,
მაგრამ გოგოს უფრო უჭირს,
ცილს სწამებენ როდესაც.

უფოთლებოდ უჭირს მუხას,-
არ მოშიშარს ქარიშხლის,
მაგრამ კიდევ უფრო უჭირს
უმშობლებოდ ქალიშვილს.

თვით ურიცხვი ვარსკვლავები,
ციურ ნათლისმცემლები
ვერ აუვა, რაც მდუღარე
დამიღვრია ცრემლები.

# ლიტვაში

ლიტვაში, ერთ უღრან ტყეში,
შუქნათელზე მთვარის,
ფრინველებმა, ცხოველებმა
მოიყარეს თავი.

დათვმა კასრი მოიტანა,
მუხისა თუ თელის,
ქორწილისთვის ემზადება
გრძელკისერა მგელი.

მაჭანკალი ციყვანია,
მელაკუდა — მდადე,
ულაყს კაზმავს ჟურცქვიტა და
ტურა აცხობს ქადებს.

თაგვი ქერს ფქვავს, სკვინჩა ლუდს ხდის,
ღორი ხარშავს ფაფას...
ხოლო ყანჩა ლუდს ნისკარტით
კასრში ასხამს სწრაფად.

შეშას აპობს კოდალა და
მაღლი ჭურჭელს რეცხავს.
კატას ნაქურდალი ხორცის
მოტანა არ შერცხვა.

დარაჯად ზის ყვავ-ყვანჩალა,
კაჭკაჭი გვის ქხოს,
ნამცხვრები კი მარჯვე შავ ჭაკს
უკვე გამოეცხო.

მალე სუფრას შემოუსხდნენ
და ჟანწს მოჰყვა ჟანწი.
რუხმა მგელმა საცეკვაოდ
გაიწვია ვაცი.

წვერცანცარა მოილუშა,
იხედება ელმად,
ეშინია სიყვარულით
არ აკოცოს მგელმა.

გულმოსულმა მგელმა უთხრა
თხას: არა გაქვს ჭკუა
ხომ იქნება შენზე ახი,
რომ გაგგლიჯო შუა.

თხამ მიუგო: თუ კი მართლა
უკადრებელს მკადრებ,
ხომ უყურებ წვეტიან რქებს,
არ დაგაური კარგ დღეს.

ჭკუას თუ კი არ მოუხმობ
უნდოვ, სამაგელო,
ჩობანს ტყაპუჭს შევუკერავ
მაგ ტყავისგან, მგელო.

მწყემსი იგი გულადია
და მკლავ-მუხლიც ერჩის,
ხელში კომბლით ნახირს მწყემსავს
ტირიფნარში, ტყეში.

ხარ-ირემმა მოჩხუბრები
შეარიგა წამსვე
და ილხენდნენ, ვიდრე მზე არ
ამოვიდა ცაზე.

# მშვიდად, მშვიდად

მშვიდად, მშვიდად მოშრიალებს,
ნემსუნასი მოდის მშვიდად...
მშვიდად, მშვიდად ასულები
საუბრობენ, ვხედავ, შინ და...

დედაჩემი მიკიჟინებს,
მიკიჟინებს ქალი, ვხედავ,
დედაბერი მიკიჟინებს,
მიკიჟინებს ჩემი დედა,

ბებრუხუნას მისთხოვდიო,
მიკიჟინებს ჩემი დედა...
მშვიდად მოდის ნემსუნასი,
მშვიდად მოდის მდინარე და...

— ვერა, ვერა, დედაჩემო,
ფეხშიშველი ვივლი ცამდე,
მაგრამ ბებერს თუ გამატან,-
გამოვკეტავ კვამლში სამ დღეს,

გამოვკეტავ კვამლში სამ დღეს,
წამოვკიდებ სიმწრის გუდას,
მეოთხე დღეს თასით მივცემ
და შევასმევ ნაცარტუტას.

მეოთხე დღეს საქმეს ვუხამ,
ვერვინ ქვეყნად ვერ უხამდეს —
ვებერთელა ქვას მივცემ და
გადასტყორცნოს უნდა ზღვამდე.

მშვიდად, მშვიდად მოშრიალებს,
ნემუნასი მოდის მშვიდად,
უფრო მშვიდად ასულები
საუბრობენ ვხედავ შინ და...

დედაჩემი მიკიჟინებს,
მიკიჟინებს ქალი, ვხედავ,
დედაბერი მიკიჟინებს,
მიკიჟინებს ჩემი დედა,

ახალგაზრდას მისთხოვდიო,
მიკიჟინებს ჩემი დედა,
ახალგაზრდას გაჰყევიო,
მეუბნება ჩემი დედა.

ჭაბუკს გულით შევიყვარებ,
სიხარულით ავალ ცამდე,
ტკბილი სიტყვით მეოლება
მოლხენილი იგი სამ დღეს.

ტკბილი სიტყვით ავჩქამდები,
მეუღლება ლხენით სავსე.
მეოთხე დღეს შარბათს ვასმევ,
მივაწოდებ ღვინის თასებს.

იოლ საქმეს დავავალებ,
ამის მეტი არა მინდა —
ერთი ლოდი დააგოროს
ჩემმა ქმარმა მაღალ მთიდან.

## დავთესე სვია

დავთესე სვია, დავთესე
სვია ნისლიან დილით,
სვია ნისლიან დილით,

ბაღჩაში ამოიწვერა,
სვია მოვიდა ხშირი
სვია მოვიდა ხშირი...

რას ამბობს სვია, რას ამბობს,
იქნება რამე ზაფრავს,
იქნება რამე ზაფრავს?

— თუ სარზე არ ამიყვანენ,
მე გავერთხმები დაბლა,
მე გავერთხმები დაბლა...

— როცა სარს შემოეხვევა,
მაშინ რას ამბობს სვია,
მაშინ რას ამბობს, ნეტავ?

— თუ არ მომკრიფეთ, იქ ჩავალ
სადაც მიწაა დედა,
სადაც მიწაა დედა.

— რას ამბობს სვია, ნეტავი,
ქვაბით ცეცხლზე რომ დგამენ,
ქვაბით ცეცხლზე რომ დგამენ?

— თუ დიდი ხანი არ მხარშეთ,
მე არ ვიქნები მაგარი,
ო, მხარშეთ დღე და ღამე...

— რას ამბობს სვია, რას ამბობს,
როცა ასხამენ ჭურჭელში,
როგორი მოსდის აზრი?

— თუ თავსახურავს დამხურავთ,
უმალ გასკდება კასრი,
უმალ გასკდება კასრი...

— რას ამბობს სვია, ნეტავი,
როცა ასხამენ ჭიქაში,
როცა ასხამენ ჯამში?

— როცა ჭიქაში ჩამასხამთ,
მე ვიხმაურებ მაშინ,
ავუაუანდები მაშინ...

თავში რომ აგივარდებით —
გაგასულელებთ მაშინ,
გაგასულელებთ მაშინ.

## მითხარ, ასულო

— მზე საით ამოდიოდა,
გზა საითაა მისი?

— მზე აღმოსავლით აღმოხდა
და გაჭიმული ნისლი

დასავლის მხარეს წავიდა...
ქალმა გადავლო ბაღჩა...

— ზამთარ და ზაფხულ, ასულო,
ქვეყნის სიმწვანედ რა ჩანს?

— ნაძვი, ფიჭვი და ბაღჩაში,
რუტა, გულით რომ ხარობს...

— ბუმბულზე მსუბუქს რას ნახავ,
ბუმბულზე მსუბუქს, ქალო?

— სატრფოს ხელი რომ მომძებნის,
რომ მომეხვევა ბოლოს,

ხელი, ბუმბულზე მსუბუქი,
სატრფოს ხელია მხოლოდ.

— მაშ ქვაზე მძიმე რა არი,
გულში რომ აქრობს იმედს?

— ქვრივი რომ ხელს ჩამოგაურდნობს,
ქვაზე მძიმეა ის ხელი,
ქვრივის ხელია მძიმე...

# ვისი სელი დგას მდინარის გადაღმა

— ვისი სელი დგას მდინარის გადაღმა,
მდინარის გაღმა ვისია ყანა?

— ქალების სელი შრიალებს გაღმა,
ხოლო ქალები გამოღმა დგანან.

— სელი რადაა გაუმარგლავი,
გაუმარგლავი რადაა სელი?

— ზარმაცებია ქალები, ვხედავ,
ვერ გამოიღეს ქალებმა ხელი,

ამიტომაა გაუმარგლავი
მდინარის გაღმა ქალების ყანა,

დილასისხამის ნამს გაურბიან,
სველი ბალახი აშინებთ თანაც,

ხოლო შუადღით აშინებთ სიცხე-
მისი ალმურით იწვება არე.

ხოლო მწუხრის ხანს კოღოს ნესტარი,
კოღოს ნესტარი აშინებთ ქალებს...

გაუმარგლავი შრიალებს სელი...
ვერ გამოიღეს ქალებმა ხელი...


1



## თავს ვევლები ბედაურს

მთელი კვირა ვანებივრე ცხენი,
ხოლო შაბათს უნაგირი დავადგი,
უნაგირით დავამშვენე შავრა...

— ჩემო ცხენო, ჩემო ბედაურო,
უნდა შესძლო საათნახევარში,
ჩემო ცხენო ასი მილის გავლა.

— ო, მხედარო, ო, მხედარო ჩემო,
მე მიგიყვან საათნახევარში,
მე წაგიყვან ასი მილის გაღმა...

და სიდედრის ეზოც დარჩდა შორით,
მალე მომწვდა ჩიტების ხმა ეზოდან,
ალუბლებში რომ გალობდნენ ლაღად.

— ო, სიდედრო, ო, მოხუცო ჩემო,
ალუბლების ამწვანებულ ბაღში
ასე ტკბილად რა ფრინველი გალობს?

— ჩემო სიძევ, ეს ფრინველი კი არა,
ჩემი გოგო გლოვობს გულის იარას,
უბედური ლეწავს ჯავრის კალოს.

# ჩამოუქროლა ქარმა

ჩამოუქროლა ნიავმა,
ჩამოუქროლა
ქარმა.

მუხებს ფოთოლი დასცვივდა —
ამწვანებული
ქარვა.

— ქარო, ნუ ჩამოუქროლებ,
ნუ ჩამოუვლი
მუხებს,

ფოთლებს ნუ დააყრევინებ,
ამწვანებულან
წუხელ.

მცირეა ჩვენი ოჯახი —
ისეც ბევრი გვაქვს
საქმე.

ფოთოლს ნუ დააყრევინებ,
ფოთოლს ვერავინ
აკრეფს.

მამამ დატუქსა ყმაწვილი,
სიტყვები უთხრა
ავი.

— მამავ,ნუ ტუქსავ ვაჟიშვილს,
არ აიტკიო
თავი.

ხვალე დაგხვდება კარღია,
თავლა დაგხვდება
ღია.

აღარ დაგხვდება ქურანი —
ველს გაჰყოლია
ტრიალს.

და უნაგირი ლამაზი
თან წაუღია
ტიალს.

# მზე ამოდიოდა

ჯერ მნათი ამოდიოდა,
ერთოდა ფოთოლი მერე...
ძმები კაზმავდნენ შავ რაშებს,
ძმები კაზმავდნენ ცხენებს,
შავ ბედაურებს კაზმავდნენ,
ძმები კაზმავდნენ ცხენებს.

შავ ბედაურებს კაზმავდნენ,
თან უკოცნიდნენ თვალებს,
ეტყოდნენ: ჩემო, შავ რაშო,
სატრფოსთან წავალთ მალე,
ო, ჩემო შავრა მერანო,
სატრფოსთან წავალთ მალე.

მინდორი გავვლეთ ჭენებით,
დიდი მინდორი ერთობ,
ქვას ფლოქვი უჩახუნებდა
სულ ნაპერწკლები ენთო.

და სასიმამროს ეზო-კარს
მივუახლოვდი კიდეც.
დაკეტილია ჭიშკარი,
ადევს სპილენძის კლიტე,
დაკეტილია ჭიშკარი,
ადევს მაგარი კლიტე.

— ო, სასიმამროვ, გამოდი,
გამო, გამართე ხელი,
შინ შეგვიყვანე, მამილო,
მე და შავრაში ცხენი
შინ შეგვიყვანე ორივე —
მე და შავრაში ცხენი...

სუფრასთან ვზივარ, გავყურებ
გარეთ ველია ფართო,
იქა დგას ჩემი შავრაში,
თავზე აწვიმს და ათოვს,
გარეთ დგას ჩემი შავრაში,
თავზე აწვიმს და ათოვს.

— ო, სასიმამროვ, მშობელო,
წესად წერილა წინათ —
თუ მე მმასპინძლობ, შავრაშიც
შემოიყვანე შინა,
ცხენს თავლის კარი გაუღე,
შემოიყვანე შინა.

— ჰოი, სასიძოვ, შვილოსა,
გარეთ დგას შენი შავრა.
ჯერ შენი შავრა რაშისთვის
არ ამიგია თავლა.

ჯერ შენი ბედაურისთვის
არ ამიგია თავლა.

## იგოგმანე, იხვო

— იგოგმანე წყალზე, იხვო,
იცურავე, მართვევ...
ქალო, სანამ გამომყვები,
ბევრი ფიქრი გმართებს.

ქალო რთვა თუ გეხერხება,
თუ გაიტან ალოს —
მაღალ მთაზე ჭვავს თუ მომკი,
ჭვავს თუ მომკი ქალო?

— რას კითხულობ, მზეჭაბუკო,
რად მომიდე ქრთამლა...
ჯერ ის მკითხე, გამოგყვები,
გამოგყვები ცოლად?

— იგოგმანე წყალზე, იხვო,
იცურავე, მართვევ...
სანამ ცოლად გამომყვები,
ბევრი ფიქრი გმართებს.

ქალო, ლოთი არ გეგონო,
არ მაფერო სხვებსა...
სახლი მაქვს და ოჯახი მაქვს,
მიწას ვხნავ და ვთესავ.

## მეტირება და ვტირი

მეტირება და ვტირივარ,
მემღერება და ვმღერი.
მძიმეა ჩემი საწუთრო,
საქმეა ჩემი მკვლელი.

ჩემი დაღლილი ხელები
და ჩემი ყოფნა მძიმე...
გული მიკვდება, ბოროტი
სიტყვა მიწურავს იმედს.

წყალზე წავედი კვირადღეს,
ქალი მივედი წყალთან,
ვნახე ჭაბუკი წყაროსთან,
შემხვდა ჭაბუკი წყალთან.

— ეგ ვედროები ჩამოდგი,
ჩამოიხსენი სამხრე.
მალზე დაღლილხარ, ასულო,
მალზე დაღლილი გნახე.

— დიდი მადლობა, ეგ სიტყვა
არავის უთქვამს ჯერაც...
ეგ საალერსო სიტყვაა,
თუ ჩემი ბედისწერა!

# ამხედრებული მოდის ჭაბუკი

ამხედრებული მოქრის ჭაბუკი,
ეს ქარბუქია, თუ რა?
მოდის ჭაბუკი, მოჰქრის ქარბუქი,
გზად მოაგელვებს ქურანს.
ალუბლის ხეს მიაბა ცხენი,
ალუბლის ხეს მწვანეს.
ცხენი მიაბა ჭაბუკმა ცქაფად
ალუბლის ხეს მწვანეს.
გადმოიხარა, გადმოიზნიქა
ალუბლის ხე და ხელი
ქურანის ზურგზე დაადო ხემა,
ხემ დაიურვა ცხენი.
ნეტავ, ალუბლის ხელივით ჩემკენ
გამოიხაროს ლხენით
ლამაზი ქალის მამის გული და
ლამაზი ქალის ხელი.
მაგრამ ეს რაა? მამა ათხოვებს,
მამა ათხოვებს ასულს.
დედაც ათხოვებს, თუმცა ამაოდ —
ქალს გათხოვება არ სურს.
— ქალო, სიმართლე მითხარი ერთი,
მითხარ სიმართლე მარტო,
რატომ მისტუმრებ, ქალო, უარით,
უკან მისტუმრებ რატომ?

განა არა ვარ ლაღი და საღი,
მდიდარი არ ვარ განა?
იქნებ გვარს წუნობ, ასულო, ჩემსას,
იქნებ გვარს წუნობ, ქალავ?
— კი, ლამაზი ხარ, სიმდიდრის დიდის
თავს გახურია ქუდი.
მაგრამ ხასიათს გიწუნებ, ვაჟო,
გული გდებია ცუდი.
ცხენი გზაზე რომ მოგუავდა — შავრა
როცა ტორავდა შარას,
შენ მათრახს უტლაშუნებდი
ცხენს, გადაქცეულს ქარად.
შენ მათრახს სცემდი შავრას და
გული კვდებოდა ჩემი,
გულს მეხეოდა, მდაღავდა
ხმაი მათრახის ცემის.
გაურბის ღრუბლებს, მარად გაურბის
ღრუბლებს კაშკაშა მზეი,
ღრუბლების თავზე მაღლდება მზე და
ადის ღრუბლების ზევით.
მეც გაგექცევი, ვაჟო და
არ მინდა გულით შავი —
ქმრად შენისთანა ავგული,
ქმრად შენისთანა ავი.

# როგორც წავალ, ისე მოვალ

დილა დგება, ეფინება
ალიონი მშვიდი.
ძმა საომრად ემზადება,
ძმა საომრად მიდის.

ქსოვში დგას ბედაური
ბედაური ტიალი.
გულფიცხელი ბედაური,
ლაგამავშარიანი.

ბედაურთან ასული დგას,
ცრემლი მოსდის თქრიალით,
ქალქზე დგება ბედაური,
ლაგამავშარიანი.

— ნუ ქვითინებ, დაო,
ნუ იწყალებ თვალებს,
როგორც წავალ, ისე მოვალ,
დავბრუნდები მალე.

თუ არა და იქ დავრჩები
ვილნიუსის მხარეს,
და ჩემს ამბავს, დაო ჩემო,
გამოვატან ქარებს.

დრო გამოხდა, მოჰქრის ცხენი,
ემსგავსება ისარს,
ზურგით მოაქვს უნაგირი
და მუნდირი ძმისა.

და ჭიშკართან შეეგება,
ჩაიმუხლა ქალი.
მამის ფერხთით ჩაიმუხლა,
ჩაიმუხლა ქალი.

— სად დატოვე, ბედაურო,
შენ მხედარი შენი?
რომელ ველზე მიატოვე,
შენ პატრონი შენი?

— ვილნიუსის ველზე დარჩა,
ველზე დარჩა მკვდარი.
თავით დროშა დავურჭე,
აფრიალებს ქარი.

მზის ჩაწევნისას დავმარხე,
მზის ამოსვლისას მკვდარი
თავით დავუდე მაჟარი
შეაჟრიალებს ქარი.

# სანამ დედასთან ვცხოვრობდი

დედაჩემთან რომ ვცხოვრობდი, მაშინ
საწყალი დედა დამცქერდა ავად.
ჩემი წასვლის დრო რომ დადგა, ხმაში
ცრემლი ჩაუდგა და გულსაკლავად —

ატირდა დედა... ეტლზე ავედი
დავემშვიდობე დედას და მამას,
დებს და მმებს... ენთო ველის ხავერდი,
მაგრამ ჩემი გზა მოჩანდა შხამად.

სანამ გავლევდი გაფრენილ ტრამალს,
ან დედისეულს გავლევდი უანას —
მიაჭენებდნენ ჩემს გვერდით ფრთამალ
ულაყებს მმები — ქცეულებს ქარად.

ხმლებს აგელებდნენ, როს დედამთილის
მივუახლოვდით ეზოს და უანას,
მოაჭენებდნენ მაღლები ცხენებს,
ცელქუტი საქმრო ვიდოდა წუნარად.

შორს დედამთილის სახლაკი მიწას
დააჩნდა, შორით წამოიმართა.
მე ჩემი მწარე დღეები ვიცან,
მწარე დღეები იმ სახლის კართან.

გამოჩნდებოდნენ, ნეტავი, ძმები,
გაიშიშვლებდნენ მახვილებს წამს და
აჩეხდნენ, ნეტავ, დამტანჯველს ჩემსას,
სადედმთილოს, ჭიშკარში ჩამდგარს.

აჰა: აღსრულდა. გამოჩნდნენ ძმები,
უმალ გაივლეს ხელი იარაღს.
დაანაფოტეს ფიცრები ჭიშკრის
ხოლო მტანჯველი ჩემი — კი არა...

# წვიმა წვიმდა

მეფის სადილობის ჟამს
წვიმდა, წვიმის შხეფებს
მიწა კრეფდა, სადილის ჟამს
მიიცვალა მეფე...

დედოფალმა ცრემლი ღვარა,
ცა გარისხდა უპირქუშო.
ღორმა ორმო ამოთხარა,
გამოჩორჩნა ვაცმა კუშო...

მამალი ყიოდა...
დედალი ჩიოდა...
კვამლი ადიოდა...
წვიმა მოდიოდა...

## ტა, ტა, ტა, ხიდზე იდგა თხა

ტა, ტა, ტა, ხიდზე იდგა თხა
რიხით! ტა, ტა, ტა,
ტა, ტა, ტა, რა დაინახა?
დიუი! ტა, ტა, ტა...
ტა, ტა, ტა, ჩემი თვალის აქვსო
ფერი! ტა, ტა, ტა;
ტა, ტა, ტა, ჩემი წვერის აქვსო
წვერი! ტა, ტა, ტა;
ტა, ტა, ტა, მოუვდა მისი
ცქერით! ტა, ტა, ტა;
ტა, ტა, ტა, რქებით დავხოცავ
მგლებსო! ტა, ტა, ტა;
ტა, ტა, ტა, წვერით დავხვეტავ
გზებსო! ტა, ტა, ტა.

# მწვანე ტყის პირას

მწვანე ტყის პირას,
ტყის ყურე-ყურე
აგროვებს გოგო
მოცვსა და კუნელს;
აგროვებს გოგო
მოცვსა და კუნელს.

ჰოიდა, მოაგდო
ჭაბუკმა ცხენი:
— ბარაქა, გოგო,
სალამი შენი!
ბარაქა, გოგო,
სალამი შენი!

— არა მჭირდება
ბარაქა შენი,
გაწიე იქით,
უზრდელო, ცხენი;
გაწიე იქით,
უზრდელო, ცხენი.

— ტყეში წავიყვან,
წამოდი, გოგო,
ტყეში ბევრია





მოცვი და სოკო;
ტყეში ბევრია
მოცვი და სოკო.

— მორჩი, ცუღლუტო,
შენი გზით წადი!
ტყეში რა მინდა, —
მზე უკვე ჩადის;
ტყეში რა მინდა, —
მზე უკვე ჩადის;

სოკოც და მოცვიც
შეგერგოს შხამად, —
შინ მელოდება
დედა და მამა;
შინ მელოდება
დედა და მამა.
გამისკდეს მიწა,
დამიდგეს თვალი, —
თუ გინდა ნებით,
თუ გინდა ძალით —
ტყეში თუ წაგყვე
ემაწვილი ქალი.

# ლული, ლული

ლული, ლული,
მზის ბულული.

— რისთვისაა მზა?
— მროხებისთვინა.
— რისთვისაა მროხა?
— რძის წველისთვინა.
— რისთვისაა რძე?
— ბავშვებისთვინა.
— რისთვისაა ბავშვი?
— ღორების სამწყემსავად.

— რისთვისაა ღორი?
— მიწის თხრისთვინა.
— რისთვისაა მიწა?
— ჟანებისთვინა.
— რისთვისაა ჟანა?
— მამლებისთვინა.
— რისთვისაა მამალი?
— ზღვაზე გადასაფრენად.

— რისთვისაა ზღვა?

— ლერწმებისთვისნა.

— რისთვისაა ლერწამი?

— თოფებისთვისნა.

— რისთვისაა თოფი?

— კურდღლებისთვისნა.

— რისთვისაა კურდღელი?

— ბატონისთვისნა.

— რისთვისაა ბატონი?

ქალაქში წასაბრძანებლად.

## ძნელია, ძალზე ძნელია

ძნელია, ძალზე ძნელია
მოხუცი მამის ყოლა, —
არ ქნა, არ მომაყვანინა
ღარიბი გოგო ცოლად.

არასდიდებით არ უნდა
სახლში ღარიბი რძალი,
მაინცდამაინც ისურვა
მდიდარი კაცის ქალი.

რა გზაა, ორ-სამ წელიწადს
ისევ უცოლოდ ვივლი,
ვიდრე არ გათხოვებულა
მდიდარი კაცის შვილი.

გოგო მდიდარი კაცისა
სულ გორაობს და სძინავს,
ღარიბი გოგო ჭვავსა ფქვავს,
მატყლს ჰენტავს ფთილა-ფთილა;

გოგოს მდიდარი კაცისას
ადევს ზაფრანის ფერი,
ღარიბი გოგო ჭვავსა მკის,
და არხეინად მღერის.

## დედაბერი აცხობდა ფუნთუშებს

ტბის პირას დედაბერი
ფუნთუშებს აცხობდა.
— სადაა ფუნთუშები?
— ღორმა შეჭამა.
— ღორი სადღაა?
— ტბაში დაიხრჩო.
— ტბა სადღაა?
— ცხენმა შეხვრიპა.
— ცხენი სადღაა?
— გზაზე გაჭენდა.
— გზა სადღაა?
— ტევრმა დაფარა.
— ტევრი სადღაა?
— თხამ გადაღრღნა.
— თხა სადღაა?
— მგელმა შეჭამა.
— მგელი სადღაა?
— მონადირემ მოკლა.
— მონადირე სადღაა?
— კლდეზე გადავარდა.
— კლდე სადღაა?
— თაგვებმა დაღრღნეს.
— თაგვები სადღაა?
— კატამ შეჭამა.
აბა, ბეღლისაკენ! —
რამ შეგაშინა!..

## შვრიამ თქვა

შვრიამ თქვა —
ლამაზად დამთესეთ,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად დამფარცხეთ,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა
ლამაზად გამზარდეთ,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად მომმკეთო,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად შემკონეთო,
ტატუტო ლინგო რიტო,

ტატუტო ლინგო რიტო.
შვრიამ თქვა —

ლამაზად დამზვინეთო,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად გამლეწეთო,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად გამანიავეთო,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად დამფქვითო,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად გამომაცხვეთო,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

შვრიამ თქვა —
ლამაზად შემჭამეთო,
ტატუტო ლინგო რიტო,
ტატუტო ლინგო რიტო.

## ხომ არ გინახავთ ჩვენი ძმა?

— წავიდეთ, დაი, დაიკო,
ზღვას გავხედოთ.

ზღვა აღელდა,
ქვიშიანი ნაპირი აყლერდა.

ქვიშიან ნაპირზე
სამი მებადური ბადესა შლიდა.

— ეი, მებადურებო, მებადურებო,
ხომ არსად გინახავთ ჩვენი ძმა?

ერთმა თქვა: — მე არ მინახავსო,
მეორემ: — თვალი არ მოგვიკრავსო.

ხოლო მესამე მებადურმა:
— რას მომცემთ, თუ გეტყვითო,

— ერთს მოგცემთ აბრეშუმის ყელსახვევს,
მეორეს — ოქროს ბეჭედს,

მესამე მებადურს კი
ცოლად გავყვები.

— თქვენი მმა, თქვენი მამიკო
ცხენზე შექანდა,

ზღვაში შევიდა,
ცხენზე შეირხა,

წყალში რომ ჩავარდა,
ხელები მაღლა ასწია;

მიშველეთ, მებადურებო,
ქუდი მაინც გადამირჩინეთო!

— როგორ გიშველო, მმაო,
სადა გვაქვს ნეკერჩხლის ნიჩბები;

ნეკერჩხლის ნიჩბები დაიშალა,
აბრეშუმის ბადე გაიხა.

## მინდვრის ბოლოს იდგა მუხა

მინდვრის ბოლოს იდგა მუხა,
მუმლი აჯდა მუხას მწუხარს.
რიმტადა, რიმტადა, ტიმტადა, დრილა, —
მუმლი აჯდა მუხას მწუხარს.
მობზუილდა კოღო რიხით,
ჩაამხილა იმ მუმლს წიხლი,
რიმტადა, რიმტადა, ტიმტადა, დრილა, —
ორი ნეკნი ჩაუმტვრია.
მერე ჰკითხა საგანგებოდ —
იქნებ ექიმს ინებებო?
რიმტადა, რიმტადა, ტიმტადა, დრილა, —
იქნებ ექიმს ინებებო?
— რა მეექიმმენებება,
ვკვდები, სული მეხუთება!
რიმტადა, რიმტადა, ტიმტადა, დრილა, —
ვკვდები სული მეხუთება.
ისევ ჰკითხა საგანგებოდ —
საფლავს სადღა ინებებო?
რიმტადა, რიმტადა, ტიმტადა, დრილა, —
საფლავს სადღა ინებებო?
— ჩამფალითო — უთხრა ყურში, —
სადმე ჩრჩილის ნაფეხურში,
რიმტადა, რიმტადა, ტიმტადა, დრილა, —
სადმე ჩრჩილის ნაფეხურში.

## ვაი, რა საოცარია, რა უცნაურია

ვაი, რა საოცარია, ვაი, რა უცნაურია,
ვაი, რა საოცარია, ვაი, რა უცნაურია:

შუა ზაფხულში ტბა გაიყინა,
შუა ზაფხულში ტბა გაიყინა.

სად დაარწყულოს ჭაბუკმა ცხენი,
სად დაარწყულოს ჭაბუკმა ცხენი?

სადღა გარეცხოს ასულმა ტილო,
სადღა გარეცხოს ასულმა ტილო?

ამოდი, მზეო, ხის კენწეროებს თავზე მოექეც,
ამოდი, მზეო, ხის კენწეროებს თავზე მოექეც.

გაალღვე, მზეო, გაყინული ტბა,
გაალღვე, მზეო, გაყინული ტბა.

მაშინ დაარწყულებს ჭაბუკი ბედაურს,
მაშინ დაარწყულებს ჭაბუკი ბედაურს.

მაშინ დარეცხავს ასული ტილოებს,
მაშინ დარეცხავს ასული ტილოებს.

## ვქსოვდი, ვქსოვდი წმინდა ტილოს

ვქსოვდი, ვქსოვდი წმინდა ტილოს,
დარდი მწვავდა ხვალისა;
ლერწმის მქონდა ლაფათინი,
მაქო — ნეკერჩხალისა.

მიღალატა ლაფათინმა,
მაქოც გატყდა ჩაუქა,
მაგრამ გული ვერ წამართვა
იმ მდიდარმა ჭაბუკმა.

ჩემი გული მას ეკუთვნის,
მხოლოდ მას ემონება,
ვისაც, რომ არ აბადია
სიმდიდრე და ქონება.

ის ჭაბუკი ნაჩვევია
სიღარიბეს და შრომას,
სულ სხვის კარზე გაატარა
გატანჯული ბავშვობა.

ოი, მოვხნავ, მოვხნავ მიწას,
ჩრდილს არ შევეფარები.
მოვხნავ, მოვხნავ ნასვენ მიწას,
მოვხნავ ლეგა ხარებით.

მილალატა კავ-სახნისმა,
ხნულში ლაღად ჩასულმა,
მაგრამ გული ვერ წამართვა
იმ მდიდარმა ასულმა.

ჩემი გული მას ეკუთვნის,
მხოლოდ მას ემონება,
იმ ქალიშვილს, რომ არა აქვს
სიმდიდრე და ქონება.

ის ქალწული ნაჩვევია
სიღარიბეს და შრომას,
სულ სხვის კარზე გაატარა
გატანჯული ბავშვობა.

## ვილნიუსში მწვანე თალი იყო

ვილნიუსში მწვანე თალი იყო,
ვილნიუსში მწვანე თალი იყო,
ვილნიუსში მწვანე თალი იყო,
სადაც რაშებს კაზმავდნენ.

შეკაზმეს და სულ ჭენებით წავიდნენ,
შეკაზმეს და სულ ჭენებით წავიდნენ,
შეკაზმეს და სულ ჭენებით წავიდნენ,
და ერთ მთაზე შეჩერდნენ.

მთაზე იდგნენ რაშები და მხედრები,
მთაზე იდგნენ რაშები და მხედრები,
მთაზე იდგნენ რაშები და მხედრები,
ამწკრივებდნენ ზარბაზნებს.

ზარბაზნები ჩაამწკრივეს, მოარგეს,
ზარბაზნები ჩაამწკრივეს, მოარგეს,
ზარბაზნები ჩაამწკრივეს, მოარგეს,
ვერცხლისფერი ტყვიები.

როცა ტყვია გაისროლეს პირველი,
როცა ტყვია გაისროლეს პირველი,
როცა ტყვია გაისროლეს პირველი,
შეზანზარდა ის თალი.

როცა ტყვია გაისროლეს მეორე,
როცა ტყვია გაისროლეს მეორე,
როცა ტყვია გაისროლეს მეორე,
დედამიწა შეინძრა.

ფუტკრებივით ზუზუნებდნენ ტყვიები,
ფუტკრებივით ზუზუნებდნენ ტყვიები,
ფუტკრებივით ზუზუნებდნენ ტყვიები,
ჩვენს შიშნაკრავ ყურებთან.

მოცელილი ძმები ნისლად წვებოდნენ,
მოცელილი ძმები ნისლად წვებოდნენ,
მოცელილი ძმები ნისლად წვებოდნენ,
გადათქერილ მიწაზე.

საით მიფრენ, საით, შავო ყორანო,
საით მიფრენ, საით, შავო ყორანო,
საით მიფრენ, საით, შავო ყორანო,
გვიპატრონე ძმურადა.

ჩვენი თეთრი, თეთრი ძვლები წაუღე,
ჩვენი თეთრი, თეთრი ძვლები წაუღე,
ჩვენი თეთრი, თეთრი ძვლები წაუღე,
გულდაკოდილ ჩვენს მამას.

ხოლო მოხუც ცრემლებგამშრალ ჩვენს დედას,
ხოლო მოხუც ცრემლებგამშრალ ჩვენს დედას,
ხოლო მოხუც ცრემლებგამშრალ ჩვენს დედას,
წვეთი სისხლი წაუღე.

როცა მვლები მიიტანეს ყორნებმა,
როცა მვლები მიიტანეს ყორნებმა,
როცა მვლები მიიტანეს ყორნებმა,
და ვერაფერს ვერ მიხვდა.

ჩამოღვარეს როცა სისხლის წვეთები,
ჩამოღვარეს როცა სისხლის წვეთები,
ჩამოღვარეს როცა სისხლის წვეთები,
დედამ გრძნობა დაჰკარგა.


VILNIUS
5


6

## ჰოი, ტყეში იშრიალეთ ხეებო!

ჰოი, ტყეში იშრიალეთ ხეებო,
ჯერ არ დავაჭკაცებულან ძმები.

ჰოი, დავაჭკაცდებიან ისინი
და მოჭრიან ხეებს ნაჯახებით.

ტყეში მოჭრეს ხეები და გასხიპეს
და სასახლე ააშენეს გზასთან.

ჰოი, ძმებმა ააშენეს სასახლე —
მართლაც არ ენახებოდა ავთვალს.

იმ სასახლის რვა კუთხეში ყოველთვის
დილდილობით გუგულები ისხდნენ.

იძახოდნენ "გუგუს", პირთეთრ ქალიშვილს
გათხოვება არ უბედეს ვიდრე

დედამ ბედი დაულოცა ქალიშვილს,
ტურფა დაი გადაკოცნეს ძმებმა.

— ჰოი, ძმებო, მინახულეთ თქვენი და,
როცა გზები თოვლში ჩაინთქება.

სტუმრად მოდით ოღონდ ახალ მარხილით,
შიგ ქურანა ულაყები ებას.

## წავედით ტყეში

წავედით ტყეში
ქალიშვილები,
დიდ მწვანე ტყეში,
საკრეფად კენკრის.

არ ვკრეფდი კენკრას,
მოვთქვამდი მწარედ,
ვაფრქვევდი მიწას
ცრემლებს მდუღარეს.

და დამხობილი
მიწასა ზედა,
თმაგათეთრებულს
ვემებდი დედას.

— ჩემო მიწაო,
გულისა ფეთქვავ,
თან წამიყვანე
დედასთან ერთად —

პასუხობს მიწა:
— ეჰ, მებრალები,
ჯერ ემაწვილი ხარ,
ნუ მემალები.

ხომ არ მოგძულდა
ახალგაზრდობა,
ხომ არ მოგძულდა
ქალიშვილობა.

— კვლავ მიყვარს წლები
ახალგაზრდობის,
არ მძულს გვირგვინი
ქალიშვილობის.

მაგრამ მომძულდა
ვაება შავი,
ქვეყნად უდედოდ
მომბეზრდა თავი.

## ჰოი, ვავლებდი, ვავლებდი კვალს კვალზე

— ჰოი, ვავლებდი, ვავლებდი კვალს კვალზე,
ჰოი, ვთესავდი, ვთესავდი, სადაფას;
ჰოი, მეწვიე, მეწვიე, ჭაბუკო,
როცა ამწვანდება სადაფა.

ჰოი, ჯერ მიწას არ აჩნდა სადაფა,
როცა მეწვია, მეწვია უმაწვილი.
— ოი, რატომ და რაისთვის მესმტუმრე
ასე ნაადრევად, ჭაბუკო?

ეგებ, თუ მოგწონს, თუ მოგწონს ეს კვლები,
ეგებ, თუ მოგწონს, თუ მოგწონს სადაფა;
თუ მე მოგწონვარ, მოგწონვარ, ჭაბუკო,
და ჩემი ხელსაქმით გაწაფვა?

— მე შენ მომწონხარ, მომწონხარ, ქალავ,
მომწონს ეგ შენი ხელსაქმეც ლამაზი,
ოღონდ არ მომწონს, არ მომწონს, ქალავ,
შენი სხვა ჭაბუკთან ბაასი.

— სხვასთან საუბარს რად ვაგდებ, ჭაბუკო,
ფიქრით შენთან ვარ და ყველგან გდარაჯობ;
ჩემს გულში შენდამი ჰყვავის სიყვარული,
ისე ვით ბაღჩაში ეაუაჩო.

## მთაზე იდგა წყლის წისქვილი

მთაზე იდგა წყლის წისქვილი
მთის ძირს ფრთების გაშლით,
ვახვახებდა ჭრელი იხვი
და ყვინთავდა ტბაში,
ვახვახებდა ჭრელი იხვი
და ყვინთავდა ტბაში.

იხვი კი არ ვახვახებდა,
თურმე, ფრთის ფართქალით, —
უბედიღბლოდ გათხოვილი
ქვითინებდა ქალი,
უბედიღბლოდ გათხოვილი
ქვითინებდა ქალი.

— ყმაწვილკაცო, სამყურაო,
მთელი ქვეყნის ფასი,
დამიბრუნე ის გვირგვინი
მწვანე სადაფასი,
დამიბრუნე ის გვირგვინი
მწვანე სადაფასი.

— ეჰ, ასულო შროშანაო,
რას გიშველის ცრემლი,
კარგა ხნის წინ იმ გვირგვინით

გამოვკვებე ცხენი,
კარგა ხნის წინ იმ გვირგვინით
გამოვკვებე ცხენი.

— უმაწვილკაცო, სამურაო,
მოგიხსენებ ლოცვით,
დამიბრუნე ის ბეჭედი,
ოქრო — ბაჯაღლოსი,
დამიბრუნე ის ბეჭედი,
ოქრო — ბაჯაღლოსი.

— ეჰ, ასულო შრომანო,
ნუ მიყურებ მწყრალად,
კარგა ხნის წინ ის ბეჭედი
გადავადნე ნალად.
კარგა ხნის წინ ის ბეჭედი
გადავადნე ნალად.

— უმაწვილკაცო, სამურაო,
თვალში მიდგას ცრემლი,
დამიბრუნე, დამიბრუნე
სიყმაწვილე ჩემი,
დამიბრუნე, დამიბრუნე
სიყმაწვილე ჩემი.

— ეჰ, ასულო შროშანაო,
წასულია უკვე,
არა მარტო შენი სიყრმე, —
ჩემი სიჭაბუკეც,
არა მარტო შენი სიყრმე, —
ჩემი სიჭაბუკეც.

— ეჰ, ასულო შროშანაო,
გაგახარებ მტირალს,
სადაფას ბალს გაგიშენებ
ნემუნასის პირას,
სადაფას ბალს გაგიშენებ
ნემუნასის პირას.

— უმაწვილკაცო, სამყურაო,
ხვეწნა-თხოვნა კმარა,
თუნდ მაჩუქო ბაღჩა მაინც
არ მინდიხარ, არა,
თუნდ მაჩუქო ბაღჩა მაინც
არ მინდიხარ, არა.

# ჭოი, ნაძვის ხეო

ჭოი, ნაძვის ხეო,
ჭოი, ნაძვის ხეო,
რომ ირხევი მარად,
რომ ირხევი დილით,
რომ ირხევი დილით
და საღამოს კარად.

ასე რხევა-რხევით
მიირწევი ზევით —
ცხრა რტო გაგეხარდა
მეათეა წვერო!

ცხრავე ტოტი გახმა,
ქარიშხალმა,ლაღმა,
ცხრავე მოგამტვრია;

ცხრავე დაგილეწა,
ცხრავე დაბლა ყრია —
მოჩანს მხოლოდ წვერო.

მოჩანს მხოლოდ წვერო
მოჩანს ცასთან ახლოს,
ზედ გუგული სახლობს.

მან რომ იგალობოს,
მან რომ დაიძახოს,
მოჩანს ნაძვის წვერო...

ჰოი, ჩემო დედავ,
ჰოი, ჩემო დედავ,
მოფუსფუსევ მარად,

მოფუსფუსევ დილით,
მოფუსფუსევ დილით
და საღამოს კარად —

ცხრა გაზარდე ვაჟი,
ცხრა გაზარდე ვაჟი,
ცხრავე, როგორც კაჟი...

ცხრა გაზარდე ვაჟი,
ცხრა გაზარდე ვაჟი,
და მეათე ქალი.
შენი ცხრავე ვაჟი, —
შენი ცხრავე ვაჟი
გაიწვიეს ჯარში...
თითქოს თიბდნენ ნამჯას —
ცხრავე ომში დარჩა,
დაგრჩა მხოლოდ ქალი...
რომ სიცოცხლის ბოლოს
გულზე მოგეფონოს
ტკბილი სიტყვის ძალით!..

# მწვანე მდელო

— მირს შენ ხარ და მაღლა-ზეცა,
მწვანე მდელოვ, ვალიო.
მადლიანმა ვინ დაგთესა,
მწვანე მდელოვ, ვალიო?

— ბედს ვუმადლი მხოლოდ მზესა,
მწვანე მდელო, ვალიო,
მზისა ვარ და მზემ დამთესა,
მწვანე მდელოვ, ვალიო.

— ვინ აჰკურა ციდან ნამი,
მწვანე მდელოვ, ვალიო?
— გრილმა მწვიმამ, ჟუჟუნამა,
მწვანე მდელო, ვალიო...

## უჩა ლილა, ჩემო შვილო

უჩა ლილა, ჩემო შვილო,
ბამბის ქულად გადაშლილო.

არვინ არის შენისთანა,
მალე გაგზრდის დედის ნანა.

მალე დამივაჟკაცდები,
ვით არყის ხე, ცას ასცდები.

მუხასავით გაშლი მკლავებს
ავთვალს ვერვინ მოგაკარებს.

მგლის მუხლს გამოიბამ მალე,
უჩა ლილა, გენაცვალე!

## მოდის ობოლი გოგო

გზაზე მოდის ობოლი
გოგო გამწარებული.
გოგოს გზის პირს შემოხვდა
ცაცხვი ამწვანებული.

— ცაცხვო, ცაცხვო, შრიალავ,
გული შენდა გენდობა,
დიდი და კეთილი ხარ,
არ გამიწევ დედობას?

— რა ვქნა, ენა არა მაქვს,
არც მაქვს დედის ხელები,
რომ თვალებზე მოგწმინდო
ეგ მდუღარე ცრემლები.

— გადაშალე ტოტები,
ვითომ ხელები არის,
ფოთლებს, როგორც ნანინას,
აამღერებს ნიავი.

გზაზე მოდის ობოლი
ბიჭი მსგავსი მერცხალის.
გზის პირს შეხვდა ბიჭუნას
ვეება ნეკერჩხალი.

— ჰოი, ხეო, შრიალავ,
გული ცრემლით გამოლბა,
შენ ისე კეთილი ხარ,
არ გამიწევ მამობას?

— რა ვქნა, ენა არა მაქვს,
არც ძლიერი ხელები,
ვერც მუხლებზე დაგისვამ
და ვერ მოგეფერები.

— შენც ტოტები გაშალე,
შემიფარე ობოლი,
ტკბილ ნანინას მიმღერებს
შენი მწვანე ფოთოლი.

## საფლავთან ბავშვი ტირის

საფლავთან ტირის ბავშვი,
ცრემლი უელავს თვალში.
ტირის სამარის პირას,
დედას ჩასძახის მძინარს:
— დედა, სადა ხარ, გელი,
ადექ, მომბანე ცრემლი.
გემუდარები, დედი,
ადექ, დამვარცხნე თმები!
სად ხარ აქამდის, აბა,
ადექ, ჩამაცვი კაბა.
ადექ, ჩამაცვი წინდა,
ჭრელი ქამარიც მინდა.
— ახლა შენს მოვლას, შვილო,
დედინაცვალი ცდილობს.
აწი, მე ნუღარ მელი,
პირს ის ჩამოგბანს ცრემლით.
იმისი მწარე ხელი
თმას დაგივარცხნის ცრემლით.
ვითომც ქამარი გერტყას —
შემოგიჭირებს წელს.
ტანჯვას დაგხურავს საბნად,
ოხვრას ჩაგაცმევს კაბად...

## იგრიალეთ დოლაბებო!

იგრიალეთ დოლაბებო,
არ გაჩუმდეთ მარტო,
გამამხნევეთ დოლაბებო,
მეშინია მარტოს,
მარტო ვარ და მარტო ვმღერი,
ხმის გამცემსა ვნატრობ...

ბიჭო, ჩემგან რა გინდოდა,
რატომ მიხმობ, კარგო?
ღარიბი და საბრალო ვარ,
ჩვენი ტრფობა არ გამოვა —
სჯობს სულ დავიკარგო!

ნუ მემახი, არ გამოვალ,
მუოფნის ჩემი დარდიც —
აბა რა სანახავია
გაწუწული ვარდი?
ღარიბი და საბრალო ვარ,
წადი, სხვასთან წადი!

## ჭოი, მერცხალო!

— ჭოი, მერცხალო,
ჭოი, მერცხალო
კუდმაკრატელავ,

რისთვის გასცვალე,
რას ანაცვალე,
ტყეები მწვანე?

ტყეები მწვანე,
ტყეები მწვანე
და შენი ბუდე?

ო, ჩემი ნებით
ო, ჩემი ნებით
არ დამიგდია მწვანე ტყეები.

ამ ტყეებიდან,
ამ ტყეებიდან,
ჩემი ბუდიდან,

რა წამიყვანდა,
ვინ წამიყვანდა? —
ის, ვინც მიყვარდა!





— ჰოი, ასულო,
ჰოი, ასულო,
რტოო ალვისა —

რად მიატოვე
რად მიატოვე
სახლი მამისა?

— დედმამისაგან
და-ძმებისაგან
ვინ წამიყვანდა?

მან წამიყვანა,
მან წამიყვანა,
ვინაც მიყვარდა!

# მუხა და ცაცხვი

მუხა და ცაცხვი
ცაცხვი და მუხა
ერთად ხარობენ,
ერთადა სწუხან.
მეზობლად დგანან,
გზის პირას დგანან,
ტოტებით ერთურთს
უძღვნიან სალამს.
რტო რტოს ეძახის,
ფოთოლი ფოთოლს,
ერთად არიან
მზეა თუ მოთოვს...
ვაჟი და ქალი,
ვაჟი და ქალი,
ორივ ლამაზი
ასაკით მთვრალი...
ქალი და ვაჟი
უსხედან სუფრას,
ელტვიან ერთურთს
მდუმარედ, უბრად.
ხელი ხელს ეძებს,
მხარი მხარს ეძებს,
ცოტა ხნის მერე
გაცვლიან ბეჭდებს.

## ზღვაში ჩაძირული ბეჭედი

გამოვთალე კოხტა ნავი,
შევაცურე ზღვაში,
სათევზაო ბადეები
ჩავალაგე ნავში.

ზღვაში ბადე რომ გავშალე,
გავიხარე მაშინ —
იმოდენა თევზი მოჰყვა,
ვერ ეტევა ნავში.

— მოდი, ჩემთან, მოდი მალე,
სატრფოს ვუწვდი ხელებს.
— მოდი, დანა აიღე და
თევზი გამოწელე.

გამოწელა სატრფომ თევზი,
გამოწელა, მაგრამ
ხედავს უცებ, რომ ბეჭედი
ზღვაში ჩაუვარდა.

დაიკვნესა მეისვე მწარედ,
ცრემლი გადმოსდინდა:
— ბიჭო, მოდი ის ბეჭედი
ამომიღე ზღვიდან.

ვაჟი ბეჭედს დაეხარა,
ზღვას ჩახედა საშიშს
და უეცრად, საცოდავი
გადაეშვა ზღვაში.

— სატრფოვ ჩემო, კარგად იყავ,
აწ სხვა გითხოვს ცოლად,
მე კი ფსკერზე, ზღვის ლოგინში,
მომიხდება წოლა...

გაურისხდა გოგოს დედა,
სიტყვა უთხრა მწარე:
ის ჭაბუკი ოქროს ბეჭედს
როგორ ანაცვალე?

— ო, გაჩუმდი, დედაჩემო,
ისეც მიწუხს გული —
სამუდამოდ მივაბარე
ზღვის ფსკერს სიყვარული!

## შორეული სახლი

ჩემი სახლი შორეული,
ცხრა მთას იქით არი,
მუდამ ცხრა მთას იქით
მიშტერდება თვალი.

ძმა ხიდს გასდებს მდინარეზე,
რომ გადავვლოთ წყალი,
გავიგორებ ოქროს ბეჭედს,
გზას გავყვები მალვით.

საითაც ის გაგორდება —
მზის ამოვა შუქი,
მზის მხარეში მელოდება,
ჩემი მზეჭაბუკი.

## წამოვიდა წვიმა

წამოვიდა წვიმა,
ნისლი დაწვა ველად,
თივა ჩემი ძმისა
სულმთლად დაასველა.
დაუშინე წვიმავ,
მზევ არ გამოხვიდე,
თივა ჩემი ძმისა,
დაე განადგურდეს!
მე ხომ არ მოვხვეტავ,
ჩემი საფორცხელით,
არცა ძმა მჭირდება,
არცა მისი ცხენი!..
წვიმა წამოვიდა,
წამოვიდა ველად,
ჩემი სატრფოს თივა
სულმთლად დაასველა.
მალე ამობრწყინდი,
მზეო, გენაცვალე,
ჩემი სატრფოს თივა
რომ გააშრო მალე.
რომ მოვხვეტო თივა,
ჩემი საფორცხელით;
რომ ვიარო მერე
ჩემი სატრფოს ცხენით!

## ავადა ვარ, ავადა ვარ

ავადა ვარ, ავადა ვარ,
ვარ ჯავრისგან მთვრალი —
ცოლად შემხვდა ზარმაცი და
ნებიერი ქალი.

გათენებას ვერ გებულობს,
მუდამ, ყოველ დილით,
შუადღემდე ლოგინშია
მილად მივარდნილი.

გავირეკავ ნისლა ხარებს,
ვხნავ, კვალს მისდევს კვალი,
დაღლილსა და მშიერ-მწყურვალს
გზისკენა მაქვს თვალი.

გავიხედავ, მეზობლები
უკვე ჭამენ სამხარს,
მე საუზმეც არ მინახავს,
ცოლი არსად არ ჩანს.

გადავაგდებ ბრაზით გუთანს,
მოვტეხ არყის წკეპლას,
შინ გავრბივარ ზარმაც ცოლის

გამოსაღვიძებლად.
ჭიშკარს როგორც გამოვაღებ

წარბშეკრული რისხვით,
მეისვე ჩემი ნებიერას
ტირილის ხმა ისმის.

მომილბება ისევ გული,
— ჩუ, შეიშრე ცრემლი,
განა შენთვის ჩამოვტეხე
ეს მოქნილი წნელი.

მხოლოდ კვალში ჩამდგარ ხარებს
ვერეკები ამით,
კიდევ მიტომ,სველ ბალახზე
რომ დავბერტყო ნამი.

— რა ვქნა, გული კი მიკვდება,
რომ გიყურებ დაღლილს,
ნეტა რატომ ააშენე
ასე ბნელი სახლი?

ვერ ვგებულობ, როდის მირეკს
დილით მწყემსი ნახირს...
რა ვქნა, რატომ ააშენე
ასე ბნელი სახლი?

შემომტირებს მოთენთილი
მილითა და წოლით...
ღმერთმა ყველას აგაშოროთ
ამნაირი ცოლი!

# ვაჟი გზისპირს ხნავს ყანასა

ნისლა უბია ხარები,
ვაჟი გზის პირს ხნავს ყანასა,
ხელს მიქნევს,
— გოგო სად მიხვალ,
ვის ნახავ ჩემისთანასა!
— დამეხსენ ბიჭო, რა გინდა,
მაგ შენი მამის ცხონებას,
ჩემი რა მოგწონს, რად მიხმობ,
სილამაზე თუ ქონება?
— ლამაზო, შენი მშვენება
რა განძით აიწონება?
არც შენი მზითვი მჭირდება,
არც შენი დიდი ქონება,
შენი სიტურფის შემყურეს
დამაშვრალს მომეფონება!

## გუგუნებენ ტყეები

გუგუნებენ ტყეები,
ქარს ასდევენ ბრაზიანს,
ქარი ტოტებს აღეწავს,
ყველაფერი ქარს მიაქვს.
ქარო ჩრდილოეთისავ,
ველებს მოსდევ მოთოყილს,
ლამის არ შეარჩინო
ხეებს ტანზე ფოთოლი.
ხომ ისეც გაიხდიან
ხენი მწვანე კაბასა —
ქარო, შენ რაღას დაქრი,
შენ რამ გაგაკაპასა?
ქვითინებს და ქვითინებს
გოგო გულამოსკვნილი,
ძმები ნაწნავს აჭრიან,
ხვალე დღეა ქორწილის.
— ძმებო, რატომ მათხოვებთ,
ძმებო, სახლში რას გიშლით?
ნუ შემაჭრით კულულებს,
ნაწნავებს ნუ დამიშლით!
თმები მზეზე მბზინავი,
დამეშალა თავისით,
წავა ყმაწვილქალობა,
სილაღე და ხალისი...

## სადღა არის ის წყარო?

სადღა არის ის წყარო,
სიჭაბუკის წყარო?
ან სადღაა ჩემი
სატრფო სანუკვარო?

გულს რომ მიმზიანებდა
სიყვარული მისი,
ჩემთა ფიქრთა საგანი,
სიზმრის ოაზისი.

ამომშრალა წყარო,
დაფარულა ლელით...
სხვაზე გათხოვილა
ჩემი საყვარელი.

ვერ შევკაზმე ცხენი,
ბედი ვერ ვეძიე,
ჩაუვლიათ მაყრებს,
ველარ დავეწიე!

## სამყურა დავთესე

მაღალ მთაზე
სამყურა დავთესე,
ხუთფურცელა,
სამფურცელა
სამყურა.

მაღალ მთაზე
ამობიბინდა
ხუთფურცელა,
სამფურცელა
სამყურა.

მაღალ მთაზე
სამყურა მეზრდება,
ხუთფურცელა,
სამფურცელა
სამყურა.

მაღალ მთაზე
ჭყვავის სამყურა,
ხუთფურცელა,
სამფურცელა
სამყურა.

მაღალ მთაზე
გავთიბე სამყურა,
ხუთფურცელა,
სამფურცელა
სამყურა.

მაღალ მთაზე
ზვინად შევკარ
ხუთფურცელა,
სამფურცელა
სამყურა.

მაღალ მთიდან
თივა შინ მოვიტანე,
ხუთფურცელა,
სამფურცელა
სამყურა.

# მწუხრის ვარსკვლავი

ცა მოიარა
ვარსკვლავმა მწუხრის,

ეახლა მთვარეს,
თავს დაბლა უხრის.

— დღეს შენთან მოვალ,
მამაო, მთვარევ,

ღამის მეუფევ,
ნუ ჩამიქრები,

დღეს შენთან მოვალ,
მამაო, მთვარევ,

ხოლო ხვალ დილით
მზესთან ვიქნები.

შავი ღრუბლებით შევიბურები,
ცამ თუ ველ-მინდვრებს ჩამოაწვიმა.

შემოიარა ასულმა ეხო,
შემოიარა ეხო უმაწვილმა.

შემოიარა შრიალა ბალი
და დედამისთან შედგა მდუმარი,

— ჭოი, დედაო,
ძვირფასო ჩემო,

დედავ, ვიქნები
შენი სტუმარი.

დღეს შენთან მოვალ,
ხვალ დედამთილს უნდა ვეახლო,

დღეს შენთან მოვალ,
ვინძლო, მერე დიდხანს ვერ გნახო.

## მიუყვება პურის ყანას მამა

მიუყვება
პურის ყანას
მამა,
თაკარა მზეს
ქუდმოხდილი
ევედრება
მამა:

— მზეო, ჩადი,
მიმწუხრის ჟამს
ჩადი,
დამექანცა
ქალიშვილი,
ხედავ,
ძლივსღა დადის.

გადაქანცა
ალბათ თიბვამ
მობიბინე ყანის,
გადაქანცა
მნების დადგმამ,
ჩაიგეცოს ლამის.




10

მამამთილი მიუყვება
მობიბინე ყანას,
თან რძალს უმზერს
მომუშავეს,
მზეს გაჰყურებს თანაც.

ევედრება ჩამავალ მზეს:
— შუაღამით ჩადი,
არ დაღლილა
ჩემი რძალი,
ვაჟკაცივით დადის.

არ დაღლილა რძალი თიბვით,
დგამს პატარა ზვინებს,
იქნებ დღესვე გამითიბოს,
ყანა მობიბინე.

# მზე ჩავიდა, ჩაესვენა

მზე ჩავიდა, ჩაესვენა, ჰორიზონტი ჩაადამა,
მიაცილებს შინ ქალიშვილს, მინდორ-მინდორ მისდევს მამა.

მიაცილებს, ეუბნება ვედრებით და დანანებით:
— შვილო, ხშირად მინახულე, მოიყვანე პატარები.

პური მუდამ აღმოჩნდება, მამასთან რომ შვილი მივა,
შენს ცხენებსაც არ მოვამშევ“ არ მოვაკლებ ქერს და თივას.

მზე ჩავიდა, ბოლო სხივი ჩაფარფატდა ბარათივით,
რძალს შინისკენ მიაცილებს, გზად მიჰყვება მამამთილი.

ეუბნება რძალს უასიდად: — რძალო, ჩემთან ხშირად მოდი,
თორემ მარტოს ძლიერ მიჭირს, ვეღარ ვუძლებ დარდს და ლოდინს.

ოღონდ ნუღარ მოაჭენებ ე, მაგ სამგლე ცხენებს მეტად,
პატარებსაც ნუ მოიყვან, შენ თუ მოხვალ, მოდი კენტად.

ბავშვებისთვის არ მაქვს პური, არ მაქვს პური ერთი ლუკმა,
ცხენებისთვის არ მაქვს თივა, კარში უნდა იდგნენ უქმად.

## მზეო, მზეო ღვთის ასულო

— მზეო, მზეო ღვთის ასულო,
მზევ შენს ხილვას ნატრობენ,
ნეტავ სად მოგზაურობდი,
ასე რად მიგვატოვე.

— ცხრა მთასა და
ცხრა ზღვას იქით
ჩავათბუნე ობლები,
დაღლილ მწყემსებს მივეფერე,
მოვიარე სოფლები.

— მზეო, მზეო ღვთის ასულო,
დავიღალე ლოდინით,
იქნებ გვითხრა, ვინ დაგიგო
მოგიზგიზე ლოგინი.

— ცეცხლს ცისკარი წამიკიდებს,
მწუხრი ლოგინს დამიგებს,
მრავალი მყავს ნათესავი,
ოქროს მრავლად ვარიგებ.

## მარტომ დავთესე სელი

მარტომ დავთესე სელი,
სულ მარტომარტომ სელი,
ქმარმა, ზარმაცმა, ლულა,
არ გაანძრია ხელი.

მარტომ მოვთხარე სელი,
არვინ მშველოდა სულაც,
ჩემო ზარმაცო ლულა,
ლულა, ზარმაცო ლულა.

მარტომ გავლეწე სელი,
მარტო ვიღწვი და ვხარობ,
ჩემო ზარმაცო, ლულა,
ლულა, ზარმაცო ქმარო.

მარტომ გავშალე სელი,
არვინ მშველოდა სულაც,
ლულა, ზარმაცო, ლულა,
ლულა, ზარმაცო ლულა.

მარტომ ვაგროვე სელი,
მარტომ ვაგროვე სელი,
ჩემო უქნარა ლულა,
ლულა, ტყუილად გელი.

მარტომ გავთელე სელი,
მარტომ გავთელე სელი,
ლულა, უქნარამ, ლულა,
არ გაანძრია ხელი.

მარტომ გავჩეჩე სელი,
მარტომ გავჩეჩე სრულად,
ჩემო უქნარა ქმარო,
ლულა, უქნარა, ლულა.

სელს მარტოდმარტო ვრთავ და
დაღლილი თვალებს ვლულავ,
ჩემო უქნარა ქმარო,
ლულა, უქნარა, ლულა.

მარტომ მოვქსოვე სელი,
მარტომ მოვქსოვე სელი,
ლულა, ზარმაცმა, ლულა,
არ გაანძრია ხელი.

გავაქათქათე სელი,
დაღლილი თვალებს ვლულავ,
ჩემო უქნარა ქმარო,
ლულა, ზარმაცო ლულა.

## ჩემო პატარა გოგონავ

— ჩემო პატარა გოგონავ,
ჩემო, შეკითხვას ვბედავ,
მითხარი, თუმცკოგობო
ქსოვა თუ იცი ნეტავ?

— ო, შევარდენო ამაყო,
დაფიქრებულხარ, ვხედავ,
მე ქსოვას ვინ მასწავლიდა,
ადრე მომიკვდა დედა.

— ჩემო შრომანო ლამაზო,
გაანათებდი უკუნს,
ნეტავი გუ-გუს მახილი
ვინ შეასწავლა გუგულს?

— ჩემო ჭაბუკო, ამაყო,
ხარ შემართული მახვილი,
ტყის ფრინველებმა ასწავლეს
გუგულებს გუ-გუს მახილი.

— ჩემო ლამაზო შრომანო,
მსუბუქო და ტანლერწამა,
სოფლელი გოგონებისგან
ქსოვა შენც უნდა გესწავლა.

— ჩემო ლამაზო ჭაბუკო,
ჰგავხარ არწივის მართვესა,
ერთი მითხარი, ღმერთმანი,
თუ გეხერხება ხვნა-თესვა.

— მზეს ჰგავხარ ამომავალსა,
სამყაროს რომ ანათებსა,
უმამოდ გაზრდილ ობოლსა,
ვინ მასწავლიდა ხვნა-თესვას.

— ჩემო ამაყო ჭაბუკო,
არმოშიშარო უკუნის,
მითხარი, ვინ შეასწავლა
გვრიტს უღრან ტყეში ღუღუნი.

— ჩემო ლამაზო გოგონა,
შენ ხარ შროშანი ნამდვილი,
ტყის ფრინველებმა ასწავლეს
გვირტებს ღუღუნი ხმატკბილი.

— ჩემო ამაყო ჭაბუკო,
ჰგავხარ არწივის მართვესა,
სოფლელი ბიჭებისაგან
უნდა გესწავლა ხვნა-თესვა.

# ცისკარი ქორწილს იხდიდა

ცისკარი ქორწილს იხდიდა,
ხალხს მასპინძლობდა უხვად,
კარს პერკუნასი* მოადგა,
მოთხარა მწვანე მუხა.

მუხის ტოტებში შეგუბდა
გარდაცვალების ნისლი
და საქორწინო სამოსელს
მოეცხო მუხის სისხლი.

და მზის ასულმა წარმტაცმა,
ცრემლით აივსო თვალი
და სამ წელიწადს აგროვა,
მუხის ფოთლები მკრთალი.

დილა არი თუ ღამეა,
პატარძლის კვნესა ისმის,
— დედა, გაბა სად გავრეცხო,
რით გავაცალო სისხლი?



* პერკუნასი — ჭექა-ქუხილის ღმერთი ლიტვურ მითოლოგიაში.

— დედა მოგიკვდეს, მეირფასო;
დავდარდიანდი შენთვის,
იქ, მიდი, სად ცხრა მდინარე,
ტბას გასაოცარს ერთვის.

— რომელი ქარი გამიშრობს
ამ სისხლით დასვრილ კაბას? —
შეეკითხება დედას და
სევდიან თვალებს ნაბავს.

— შვილო, იმ ბაღში გაფინე,
ნიავს რომ უყვარს ნავარდი,
სადაც საოცარ სურნელით
ღამეს აბრუებს ცხრა ვარდი.

— მითხარი, დედა, გვირგვინი
როდის დავიდგა თავზე,
— იმ დღეს, როდესაც ხივრცეში
ამობრწყინდება ცხრა მზე.

## ტყეში ცხენი შევაჭენე

ტყეში ცხენი შევაჭენე,
შუა ტყეში შევაჩერე,
მერე თიბვას შევუდექი,
ცელო, ეშმა შეგაჩვენებს!

ცელი მალე დამიბლაგვდა,
ქუდი ხესთან დამივარდა,
არ ვიცოდი კიდევ თუ კი ვნახავდი,
თუ ოდესმე მივაღწევდი
სასიმამროს სახლამდი.

— მშვენიერო, მწვანე რუტა,
შენზე ფიქრი მტანჯავს მუდამ,
ასე რატომ მიღიმი,
ხომ არ გაგიგონია
ჩემი ცხენის ჭიხვინი?

— როგორ არა, გავიგონე,
მაგრამ მაშინ არ მეცალა,
მოხუც დედას ვამინებდი,
ცხენზე ხომ არ გამეცვალა.

ლოგინი რომ გავუშალე,
ვარიდებდი დედას თვალებს,
ასე ვემუდარებოდი:
— დედაჩემო, შემიბრალე,

დედა, იმ ბიჭს ნუ გამატან,
დედა, ვფიცავ შენსა მზესა,
უგერგილო ვინმე არის,
სულ ვერ ხმარობს კავს და ცელსა.

## მობრძანდა შობა

რა უწმინდესი მოისმის ხმობა, მობრძანდა შობა,
ლელიუ კალედა, კალედა.

მობრძანდა შობა რკინის ბორბლებით,
ლელიუ კალედა, კალედა.

ოი, და ქალებს როგორც შეშფერით, მოართვა ყველას ნელსაცხებელი,
ლელიუ კალედა, კალედა.

შობა ჭაბუკებს შავ სალებავს კვლავაც აჩუქებს,
ლელიუ კალედა, კალედა.

შობამ მოგვართვა ლორის ნაჭრები,
ლელიუ კალედა, კალედა.

ლორის ნაჭრები და მეხვის აცმა,
ლელიუ კალედა, კალედა.

შობამ მოგვართვა ხილი, ჰარკები სავსე თხილით,
ლელიუ კალედა, კალედა.

## ალილოზე ხომ წამოხვალ დათო

ალილოზე ხომ წამოხვალ დათო,
ოი, კალედა, კალედელე.

ჩავუაროთ დათვის მამულს,
ოი, კალედა, კალედელე.

კასრს გვიბოძებს ჭვავით სავსეს,
ოი, კალედა, კალედელე.

დათვი კასრსაც შინ მიგვიტანს,
ოი, კალედა, კალედელე.

ჩვენ არ გვინდა ჭვავი კასრით,
ოი, კალედა, კალედელე.

ჩვენ ასული გვინდა მხოლოდ,
ოი, კალედა, კალედელე.

გვინდა მხოლოდ ალიანუტე,
ოი, კალედა, კალედელე.

## დედაო მზეო

დედაო მზეო, ყოვლადძლიერო,
ამოანათე კვლავ, ნათლიერო.

ჩვენ ვართ მწყემსები — ბავშვნი სრულებით,
მოცლე ქურთუკით, უხამურები, —

ქარში ვკანკალებთ და ვითოშებით.

## ჩემო მშობელო

ჩემო დედავ, გაწევს ტვირთი წლების,
გაგითეთრდა, გაგითეთრდა თმები.
შრომით მაშვრალს და დაქანცულს გხედავ,
ჩემს გაზრდაში დაიღალე, დედავ.

მუდამ ხელით მატარებდი ღამით,
დღისით თვალს არ მაშორებდი წამით.
ახლა მაშვრალს და დაქანცულს გხედავ,
ჩემს გაზრდაში დაიღალე, დედავ.

გებინდება თვალები და, ქრები,
დაგეღალა ხელები და მხრები.
შრომით მაშვრალს და დაქანცულს გხედავ,
ჩემს გაზრდაში დაიღალე, დედავ.

დღისით შენ არ გასვენებდა შვილი,
ხოლო ღამით დრო არ გქონდა ძილის.
შრომით მაშვრალს და დაქანცულს გხედავ,
ჩემს გაზრდაში დაიღალე, დედავ.

# იფრინე შევარდენო

ჩემო შევარდენო გაფრინდი ნებისად,
ტბა გადაიფრინე შრიალით ფრთებისა.

იმ ტბაში ყოველთვის წყალია ანკარა,
იმ ტბაში მცურავი ნავია პატარა.

ნავში ზის ქალწული და ოხრავს მალ-მალე,
ნავში ზის ქალწული, ივარცხნის დალალებს.

ნავში ზის ასული მტირალი, მწუხარე,
ივარცხნის თმასა და ცრემლი სდის მდუღარე.

— არა მყავს გამრჯელი მამა საყვარელი,
ჩემს მზითებს ვინ მომცემს, ვინა მყავს მფარველი.

არა მყავს გულსათნო დედა თვალნათელი,
მზითევს ვერ გამიწყობს დედა სანატრელი.

უძმო ვარ, არა მყავს ძმა, რკინის მკვნეტავი,
მაყრად ვინ წამყვება ქორწილში, ნეტავი?

არა მყავს დაი და არა მყავს მფარველი,
გვირგვინს ვერ დამიწნავს დაი საყვარელი.




12

მაგრამ წმინდა მთვარე მამაა ობლისა,
ის მომცემს მზითევს თუ საუნჯეს მშობლისას.

მზეა ჩემი დედა, დედა სანატრელი,
მზითევს გამომიწყობს მნათი გულნათელი.

ჩემი ძმა ხომლია, არა ვარ საჭყარი,
ეს ხომლი იქნება ქორწილში მაყარი.

დაი არის ვარსკვლავი, რა მაქვს გულსაკლავი,
გვირგვინებს დამიწნავს შუქურა ვარსკვლავი.

## რატომ იფურჩქნები, მუხავ,

— რატომ იფურჩქნები, მუხავ,
როს ყინვა მოდის მსუსხველი,
— მე ყინვა ვერას დამაკლებს
თუ მწვანედ დავიყურსები.

— წამოდექ, ძმაო, წამოდექ,
ზარს არისხებენ ავადა,
ემაწვილს გიხმობენ საომრად,
მამულის დასაცავადა.

— ახლავე, ხელ-პირს დავიბან,
ჩავიცვამ, მივდგებ-მოვდგები,
დედ-მამას მოვინახულებ,
ეჰ, იტირებენ მშობლები.

ოფლითა მოვრწყავ გზა-შარას,
რომ არ ამტვერდეს გზებიო,
მშობლებს გული არ ვატკინო,
არ ავატირო დებიო.

თუმც ოფლით მოვრწყე გზა-შარა,
მაინც ამტვერდა შარები,
ვამშვიდე დედა და მაინც
ტიროდნენ მისი თვალები.

მშვიდობით,ჩემო დედ-მამავ,
მშვიდობით, მხარევ გამჩენო,
მშვიდობით, ძმაო უმცროსო,
დაო, ცრემლი არ მაჩვენო.

მშვიდობით, ნათესავებო,
ნანდაურებო გულისა,
მშვიდობით, სატრფოვ ძვირფასო, —
ნათელო სიყვარულისავ.

## მამას ჰყავდა ორი ვაჟი

მამას ჰყავდა ორი შვილი,
ორი მშვენიერი ვაჟი,
თავის ხელით გამოზრდილი,
როგორც ორი გარიყრაჟი.

მამამ მისცა ვაჟებს ცელი,
მწვანედ ჩანდნენ სანახები,
და წავიდნენ ველად ძმები
მოსათიბად ბალახების.

ერთი მხიარულად მღერის,
ბალახს თიბავს გალაღებით,
მეორეს კი გულს უღაღავს
მწარე დარდი და ნაღველი.

— ვხედავ დარდობ, ჩემო ძმაო,
თვალი ცრემლით გენამება,
იქნებ გენანება მდელო,
ან სამკურა გენანება?

— ბალახი არ მენაღვლება,
არც სამკურას დარდით ვკვდები;
მე მაწუხებს შენი ბედი,
შენ და ცხენი მედარდებით...

— ცელი გვერდზე მოვისროლე, —
ავბედითად იჟღრიალა;

მოვჭერ თეთრი სამურა და
მყისვე სისხლმაც ითქრიალა.

მერე ტყისკენ გავეშურე,
ველს მოვშორდი დანანებით.
ტყეში დამხვდნენ მეზობლები
და შემებნენ გამალებით.

მყის ხელები გამიკავეს
და დამადეს ბორკილები,
დრო დამიდგა დამცირების,
შერცხვენის თუ მოყივნების.

— სანამ, ჩემო მეზობლებო,
წამიყვანდეთ უცხო მხარეს, —
დამანახეთ მშობლები და
სახლის კართან ჩამატარეთ.

ტირის დედა, ტირის მამა,
ვისმენ და-ძმის მოთქმა-ღრიალს
და კვნესიან ნანდაურნი,
ქალწულები ცრემლებს ღვრიან.

დედ-მამაზე უფრო მეტად,
და და ძმაზე უფრო მწარედ,
მომტირიან ქალწულები,
იოსებენ ცრემლით თვალებს.

# ბატონმა თხა გააგზავნა

ბატონმა თხა გააგზავნა,
თხა კეთილი, ფრთხილი,
რათა ბუჩქი შეეჭამა,
მოეტანა თხილი.

თხამ ბუჩქი არ შეჭამა,
არ შეახო პირიც.
ბატონს არ მოუტანა,
არ მოართვა თხილი.

მეისვე მგელი გააგზავნეს,
შესაჭმელად თხისა.
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
არ შეჭამა, არადა
ბატონს თხილი არ მოართვეს
გულის გასახარადა.

გააგზავნეს მონადირე
რომ დასაჯოს მგელი.
მაგრამ ჩვენმა მონადირემ
მგელს არ ახლო ხელი.
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
არ შეჭამა, არადა

ბატონს თხილი არ მოართვეს
გულის გასახარადა.

მონადირის მოსაკლავად,
უთხრეს: — წადი ხეო,
თავს დაეცი და შენს ქვეშე
მოიყოლიეო,
ხემ არ მოკლა მონადირე,
მონადირემ — მგელი;
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
არ შეჭამა, არადა
ბატონს თხილი არ მოართვეს
გულის გასახარადა.

მერე ცეცხლი გააგზავნეს:
— ხე დასწვიო ჩქარა!
ცეცხლი ხეს არ გაეკარა
და ხე დარჩა მთელი.
ხემ არ მოკლა მონადირე,
მონადირემ — მგელი.
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
არ შეჭამა, არადა
ბატონს თხილი არ მოართვეს
გულის გასახარადა.
გააგზავნეს ზღვა მღელვარე:

— ცეცხლი ჩააქრეო,
ზღვა ცეცხლს აღარ გაეკარა,
მთელი დარჩა ხეო,
ხემ არ მოკლა მონადირე,
მონადირემ — მგელი;
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
არ შეჭამა, არადა
ბატონს თხილი არ მოართვეს
გულის გასახარადა.

მერე ხარი გააგზავნეს,
დასალევად ზღვისა,
არ დალია ხარმა ზღვა და
ცეცხლიც ბრწყინავს მზისფრად,
ხემ არ მოკლა მონადირე,
მონადირემ — მგელი.
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
არ შეჭამა, არადა
ბატონს თხილი არ მოართვეს
გულის გასახარადა.

ახლა ეშმაკს დაავალეს
ხარის შერისხვაო,
ეშმაკმა ხარს არა ავნო,
ისევ ღელავს ზღვაო,

ცეცხლი ხეს არ მოეკიდა,
ხემ არ მოკლა მონადირე,
მონადირემ — მგელი.
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
არ შეჭამა, არადა
ბატონს თხილი არ მოართვეს
გულის გასახარადა.

გააგზავნეს დედაბერი, —
ცბიერი და ფლიდი,
ეშმაკიც კი მოატყუა, —
გააცურა იგი, —
ეშმაკმა — ხარი,
ხარმა — ზღვა,
ზღვამ — ცეცხლი,
ცეცხლმა — ხე,
ხემ — მონადირე,
მონადირემ — მგელი;
მგელმა — თხა,
თხამ — ბუჩქი
შეჭამა.

ყველაფერი დამთავრდა,
რა უეცრად, ჩქარა და
ბატონს თხილი მოართვეს
გულის გასახარადა.

# ჩემო ასულო

ო, ჩემო ასულო,
მიღმეთში ჩასულო,
მრთველო და მქსოველო,
ქებულო მშვენებით,
ახლა რომ აქ იყო
ხელს შემაშველებდი.

რაღამ შეგაშინა,
ჟამმა უჟამურმა
თუ ყოფნამ დუხჭირმა.
ო, რატომ შეშინდი,
სხვასაც ხომ უჭირდა?

მშობელთა ნუგეშად
ილვწოდი ნიადაგ
და ადრე დგებოდი.
ო, ეს დრო რომ არა,
არ შეშინდებოდი.

ვაი, საიქიოს
კოხტა პატარძალო,
საით გაგამგზავრო,
როგორ გაგამგზავრო.

რით შეიმოსები,
რა ფოთლით, ყვავილით,
რომ გიცნო უეცრად,
გვერდით როს ჩაივლი.

როგორ შეიმკობი, რა ფერთა ნათებით,
შენ, შვილო, რით გიცნო
ფოთლით თუ ვარდებით?

# ჩემი ქმარი დაატყვევეს

— ვაი, მწვანე ხეო მსხლისავ,
რად ხარ შეუხედავი?

— როგორ ვიყო მშვენიერი,
როგორ ვიყო, ნეტავი?

როს ტოტები დამილეწეს,
ჩემს სიკვდილს მე ვესწრები,

და ფესვებიც გამითელეს, —
ჩემი მძლავრი ფესვები.

— ვაი, ახალგაზრდა ქვრივო,
რად გაქვს სახე დამზრალი?

— როგორ ვიყო, როგორ ვიყო
ლაღი და პირმწყაზარი?

დაატყვევეს ჩემი ქმარი,
ქმარი, მერე რა ქმარი!

— ო, გაყიდე ყველაფერი, —
სახლში რაც კი გეგულვის,

დაიხსენი ტყვეობიდან
ქმარი — შენი ერთგული.

## უკვე ვიმღერე

უკვე ვიმღერე ბევრი,
სიმღერა სივრცეს ერთვის.
უკვე ვიმღერე ბევრი
და დამრჩა მხოლოდ ერთი.

იმ ერთს ვიმღერებ მაშინ
გაზაფხული რომ მოვა,
როს დაიწყება ხვნა და
ხეთა ფიფქებით თოვა...

აჰა, ვთესავ და ვმღერი,
კვლავ არ მეღლება ველი, —
მინდა მქსოველ გოგონებს
მოვეწონო როგორმე.

# ვინც ლუდს არა სვამს

ვინც ლუდს არა სვამს, გრილს და ქაფქაფას
არ მრავლდებიან მასთან ფუტკრები,
არ ზუზუნებენ მასთან ფუტკრები,
რუხი ფუტკრები.

ვინც ლუდს მიირთმევს, გრილს და ქაფქაფას
მომრავლდებიან მასთან ფუტკრები,
იზუზუნებენ მასთან ფუტკრები,

რუხი ფუტკრები.

## კვირა დილით

კვირა დილით
ტბა ჟინვამ მოსარკა,
ალელუმ კალედა,
ტბა ჟინვამ მოსარკა.

ტბა ჟინვამ მოსარკა.
ვაჭრებმა ჩაიარეს,
ალელუმ კალედა,
ვაჭრებმა ჩაიარეს.

ჩემი ძმა
ჟინულჭრილს დამზერდა,
ალელუმ კალედა,
ჟინულჭრილს დამზერდა.
ჟინულჭრილს დამზერდა,
შავრას არწყულებდა,

ალელუმ კალედა,
შავრას არწყულებდა.
შავრას არწყულებდა,
მათრახს გადაჰკრავდა,
ალელუმ კალედა,
მათრახს გადაჰკრავდა.

— ოი, ნუ გადამკრავ
მათრახს მზექაბუკო,
ალელუმ კალედა,
მათრახს მზექაბუკო.

სატრფოს თეთრ ჭიშკართან
მიგიყვან მალიად,
ალელუმ კალედა,
მიგიყვან მალიად.

სატრფოს თეთრ ჭიშკარსაც
ვაგილებ უჩუმრად,
ლელუმ კალედა,
აგილებ უჩუმრად.

ას მოგისუფთავებ,
ოგიიავარდებ,
ალ ელუმ კალედა,
მოგი ავარდებ.

ცას შევეხ დები,
ღრუბლებ გადავრეკავ,
ალელუმ ლედა,
ღრუბლებს გადავრეკავ.




14

თვალებით ბარჩხალა
ვარსკვლავებს დაგითვლი,
ალელუმ კალედა,
ვარსკვლავებს დაგითვლი.

ნალებით წყვდიადში
ნაპერწკლებს გავკვესავ,
ალელუმ კალედა,
ნაპერწკლებს გავკვესავ.

## შუა მინდორში მსხლის ხე ყვაოდა

შუა მინდორში მსხლის ხე ყვაოდა,
ალელუმ კალედა, მსხლის ხე ყვაოდა.

მსხლის ხეზე სანთელი ღუოდა,
ალელუმ კალედა, სანთელი ღუოდა.

სანთელს ჩამოსცვივდა სამი ნაპერწკალი,
ალელუმ კალედა, სამი ნაპერწკალი.

ოიდა, იხილეთ დიდი სასწაული,
ალელუმ კალედა, დიდი სასწაული.

დიდი სასწაული, ზღვაი ულურჯესი
ალელუმ კალედა, ზღვაი ულურჯესი.

ზღვაში ოქროსფერი ხომალდი ირწევა,
ალელუმ კალედა, ხომალდი ირწევა.

ხომალდში ასული ზის ცისფერთვალება,
ალელუმ კალედა, ზის ცისფერთვალება.

ასული ყელსახვევს ლამბავს და იღიმის,
ალელუმ კალედა, ლამბავს და იღიმის.

ყელსახვევს ლამბავს და სატრფოს უსახსოვრებს,
ალელუმ კალედა, სატრფოს უსახსოვრებს.

სატრფოს უსახსოვრებს საჩუქრად ყელსახვევს,
ალელუმ კალედა, საჩუქრად ყელსახვევს.

საჩუქრად, ტრფობის და ალერსის დასტურად,
ალელუმ კალედა, ალერსის დასტურად.

# ჩემს ნათესავს

ჩემს ნათესავს
საქეიფოდ კი არ ვესტუმრე,
საქეიფოდ კი არ ვესტუმრე.

ჩემს ნათესავს
საბაასოდ ვესტუმრე,
საბაასოდ ვესტუმრე.

მაგრამ ჩემმა ნათესავმა
გამომბრუქა ლუდით,
გამომბრუქა ლუდით.

მწვანე ცაცხვის რტოთა ქვეშე
გამიშალა საგები,
გამიშალა საგები.

ცაცხვო, ცისკენ ატყორცნილო,
იჩურჩულე ნაზად, ნაზად,
იჩურჩულე ნაზად, ნაზად.

ჩრდილოეთის ცივო ქარო
დაცხრი, შტოებს უნანავე
დაცხრი, შტოებს უნანავე.

ნათესავნო, მეგობარნო,
ნუ დამძრახავთ,
ნუ დამძრახავთ.

## შესვი ლუდი, შესვი ლუდი!

შესვი ლუდი, შესვი ლუდი!
ნუ დააქცევ, ნუ გადაღვრი.
მოვაგროვე თავთავები,
ჭირის ოფლში გავიწურე.

მოვაგროვე თავთავები
ცისკენ ლაღად აშვეტილი,
გამოვხადე გრილი ლუდი
ყვითელი და ფეროვანი,
ვცლი კათხას და ვადღეგრძელებ
ქალწულს ვარდის ღაწვიანსა.

# ჟღერდა კანკლე

ჟღერდა კანკლე*, ჟღერდა კანკლე,
ლიო, რიდი აუგო,
დააკვირით კანკლეს ტირილს,
კანკლეს ჟღერას გაუგებთ...
არა, კანკლე კი არა ჟღერს,
კანკლეს არ დააბრალოთ —
ასულები ქვითინებენ
საცოდავად, საბრალოდ...
— მინასულე, დედაჩემო,
ლიო რიდი აუგო,
მწვანე ბილიკს გამოჰყევი,
არ დაგხვდები აუგად...
— გზა არ ვიცი — დედა ამბობს, —
გზის მასწავლე ნიშანი,
— ნამჯს დავტოვებ გზაზე ნიშნად,
შეხედე და იცანი...
— მამავ, შენც რად არ მოდიხარ,
ლიო, რიდი აუგო,
გამოჰყევი მწვანე ბილიკს,
არ დაგხვდები აუგად.
— არც მე ვიცი, შვილო, გზები,
გზის მასწავლე ნიშანი.

* კანკლე-ლიტვური მუსიკალური ინსტრუმენტი

— იფანია გზაზე ნიშნად,
შეხედე და იცანი...
— ჭოი, ძმაო გელოდები,
ლიო, რიდი აუგო,
გამოჭყევი მწვანე ბილიკს,
არ დაგხვდები აუგად...
— გზები, დაო, გზა არ ვიცი
თორემ კი ვარ მდომელი,
— მუხნარია გზაზე ნიშნად
ის მუხნარი მოგელის...
— დაო, დაო, რას მემღური,
ლიო, რიდი აუგო,
გამოჭყევი მწვანე ბილიკს
არ დაგხვდები აუგად...
— არც მე ვიცი, დაო, გზები
თორემ რა გამაჩერებს....
— მწვანე რუტა გელის ნიშნად
გზას ის რუტა გაჩვენებს...

# ახნაურის ბეღელი

ახნაურის ბეღელი
მაღალ მთებზე დგასო,
სამი ხარო პატარა,
სამი ხარო აქვსო...
ერთ ხაროში — ამბობენ, —
ხმალი რამე დევსო,
უფხო, ჩაჟანგებული —
ვამჯობინებ ცელსო!
მეორეში — ამბობენ —
უნავირი არისო,
ისეთი უვარგისი —
სჯობს არ დავითარსოთ...
მესამეში — ამბობენ —
მოსდებია ნესტი,
განისვენებს პატრონის
ძველი წუღა — მესტი...
გლეხიკაცის ბეღელი
ხეობაში დგასო,
იმ ბეღელსაც — ამბობენ —
სამი ხარო აქვსო...
ერთი ხარო — ბარაქა!
ჭვავით არის სავსე,
მეორეში — ბარაქა!
ხორბლით არის სავსე,

მესამეში — ბარაქა!
დაახვავეს ქერი...
ფხნაური ბუზღუნებს,
გლეხიკაცი მღერის.

## ჩამოუფრინა ფუტკარმა

მამა ფუტკარმა ბზუილით
ფულუროს ჩაუფრინაო,
რუხი ფუტკარი ეგულვის
ტკბილად მძინარი შინაო,
— ადექი, რუხო მშოველო,
ჰა, მზემან გაიცინაო,
თაფლი და ფიჭა აკეთე,
ადექი, ნუღარ გძინავსო.
— ნუ სწუხარ, მამა ფუტკარო,
მალე განახვებ ფიჭასო,
თაფლს მოვაგროვებ-უმჯობესს
ვინ დააღვენთავს მიწასო...
მავან ჭაბუკმა ცხენხეთქით
ბეღლისკარს ჩაუარაო,
დააკაკუნა სარკმელზე
— ქალაუ მილი კმარაო,
გაიღვიძე და წამოდექ
ჰა, მზემან გიჭვრიტინაო,
სელია დასართავი და
შენ კი ისევე გძინაო.
— ნუ ნაღვლობ, კარგო ჭაბუკო,
მალედვე დავრთავ სელსაო,
ახალ ტალავარს მოვიქსოვ
და წუალს გავატან მველსაო...

## ცხრარქიანი ქორბუდა

ცხრარქიანი ქორბუდა, ფეხმარდი და ლამაზი,
როგორ მირბის შეხედეთ, სწრაფად, ნიავქარულად,
ოი, კალედა, კალედა — ნახეთ მისი თამაში,
მისი ყელმოღერება და მეფური მარულა.

აჰა, წყალთან შეჩერდა — ოი, კალედა, კალედა,
ჩაიხედა წყალში და რქები გადაითვალა,
გაუხარდა ქორბუდას, აცმუკდა და აღელდა,
ოი, კალედა, კალედა — ნირი მთლად შეიცვალა.

ცხრა რქა ადგას ბარჩხალა, ოი კალედა, კალედა,
მათ თავზე კი სამჭედლოს გააქვს გუგუნ — ზრიალი,
აქ მჭედლები კვერს სცემენ მარჯვედა და მალედა,
ზეინკლები ხელობენ ქლიბ — ჩარხების ტრიალით.

— ოი, კალედა, კალედა, ხელოსანთა ამქარო,
ძმებო და მეგობრებო, ამისრულეთ სურვილი,
მიატოვეთ საუზმე, სადილი და სამხარი,
და სწრაფად გამიჭედეთ თასი ოქროცურვილი.

თასი ოქროვარაყა, ოი, კალედა, კალედა,
ლამაზი და ნათელი — როგორც ზეცა მზიანი,
გამიჭედეთ, მჭედლებო, მარჯვედა და მალედა —
უნდა მოვრწყა იმ თასით რუტა მწვანეთმიანი.

# სად მამამ შესვა მიდუსი*

სად მამამ შესვა მიდუსი —
ამწვანდა ჭვავის ყანა...
გალაღდი, რუხო ფუტკარო,
თაფლით აგვავსე თანაც, —

დასკუპდი თეთრ სამყურაზე,
ყვავილებს მიეფერე,
ილაღე, რუხო ბზუილავ,
თაფლით დაგვატკბე მერე.

სად დედამ შესვა მიდუსი —
ყანა ღაღანებს პურის,
გალაღდი, რუხო ფუტკარო,
უტკბესი თაფლი გვწყურის, —

დასკუპდი თეთრ სამყურაზე,
ყვავილებს მიეფერე,
ილაღე, რუხო ბზუილავ,
თაფლი აგროვე მერე.

* მიდუსი - თაფლისა და სვიისაგან დამზადებული ლიტვური ეროვნული სასმელი.

სად მამან შესვა მიდუსი —
ბარაქობს ჟანა ხელის,
გალაღდი, რუხო ფუტკარო,
გოლეულები გველის, —

დასკუპდი თეთრ სამყურაზე,
ყვავილებს მიეფერე,
ილაღე, რუხო ბზუილავ,
თაფლით დაგვატკბე მერე.

სად დამან შესვა მიდუსი —
ამწვანდა რუტას ბაღი,
იფრინე, რუხო ფუტკარო,
ბედნიერად და ლაღად, —

დასკუპდი თეთრ სამყურაზე,
ყვავილებს, მოეფერე.
გალაღდი, რუხო ბზუილავ,
თაფლით აგვავსე მერე.

## მიატოვეს მშობლიური რუსნე

მიატოვეს მშობლიური რუსნე,
წამოსულან მშობლიური სოფლიდან
ორად-ორი ახალგაზრდა მებადური —
ლუკმა — პური უნდა ჰპოვონ ოფლითა.

შუა ზღვასაც მალე მიაღწიეს,
თხელი ბადე მოისროლეს ზღვაში,
ისევ რუსნე ესმანებათ ბიჭებს,
რუსნეს არა, არ გასცვლიან სხვაში.

გაგულისდა მბრძანებელი ზღვისა,
ვინც ჭირვეულ და მრისხანე არის,
და სურვილით და ბრძანებით მისით
ამოვარდა ჩრდილოეთის ქარი.

— მეგობარო მეარად იდექ, მეარად!
ქარიშხალი ნავს ვერარას უხამს,
ოღონდ ჩქარა, ჩქარა, ჰოი ჩქარა,
გადააგდე ზღვაში ოქროს ლუხა!

— არ დავიბნეთ, მეგობარო, არა,
შევხვდეთ გრიგალს, სიამაყით სავსე!
ოღონდ ჩქარა, ჩქარა, ჰოი ჩქარა,
მმაო, ანმას მოექეცი თავზე!

— გამჭრიახად გადახედე შორეთს,
იქნებ თვალიც კი შეავლო ბედად,
ნაცრისფერი ქვიშნარების გორებს,
ანდა ქალაქს ჩვენსას, კლაიპედას!

— მითხარ, საით მივაბრუნო ნავი,
მიმასწავლე უტყუარი გეზი,
თორემ ზვირთთა გვემუქრება ზვავი,
თანაც უკვე ღამე მეფობს დღეზე.

— პაკალნისკენ გავუტიოთ, მითხარ,
თუ მშვენიერ ვარუსნესკენ ვუსვათ?
მიპასუხე, ნუ აყოვნებ დიდხანს,
იქნებ ისევ მივაშუროთ რუსნეს?

— პაკალნისკენ არ წასვიდე, არა,
არ გვჭირდება ლამაზი ვარუსნეც,
შევუბეროთ ჩქარა, ჰოი ჩქარა,
მივაშუროთ ჩვენს საყვარელ რუსნეს.

— მხოლოდ იგი, მხოლოდ რუსნე მინდა,
მხოლოდ იგი მოჰგავს კლაიპედას,
სადაც ცხოვრობს სატრფო ჩემი მშვიდად,
ვინაც ღმერთმა დამიბედა ბედად.

# დედამ შრობა და გამზარდა

დედამ შრობა და გამზარდა,
თეთრი ხელებით მატარა,
როცა ვიყავი ნამცეცა,
ერთი ციცქნა და პატარა;
მერე ბედაურ მომგვარა —
ფეხმალი ლურჯა მერანი,
შემსვა და ნიავს მიანდო
საჩემო ბედისწერანი...
დავლახეთ ველი პირველი,
ქარის ვიყავით მდევარნი,
უეფდნენ და უეფდნენ მინდორში
მამიჩემისა მწევარნი...
დავლახეთ ველი მეორე,
უმალ დაგვასწრო დაისმა,
ქარი ქვითინებს ველად თუ
დების ტირილი გაისმა?
დავლახეთ ველი მესამე
და გულს დააწვა ლოდებად,
ჩემი საბრალო დედილოს
გულისმომკვლელი გოდება.
ისევე მივქრი მერანით
ამდენ ვარამის მნახველი,





წინ შემეფეთა უეცრად
ბუჩქი წითელი მახვილის;
მოვტეხე ტოტი უმალვე
ვახსენე ღმერთის სახელი,
ვთვალე და ვთვალე იმ ტოტზე
ნაყოფი წითელ მახვილის.
ბევრია ტოტზე ნაყოფი —
იმდენ მაინც არ არიო,
რამდენიც მიყავთ ყოველდღე
ლაშქარში მეომარიო.

## წადი, ბეკეკავ, წყალზედა

— წადი, ბეკეკავ, წყალზედა
ციკანო, წყალზე გელიან,
— ვერა, ვერ წავალ წყალზედა
მაშინებს რუხი მგელია.
— ჩლიქები დაუბაკუნე
და მოუღერე რქებია,
ცალ ფეხით წყალ ამოიღე,
მეორით შეეგებია...
წავედი წყალზე ბეკეკა,
მამულზე გადვიარეო,
წინ მოურავი შემომხვდა,
თქვა: სალამს ვეტყვი ბარემო...
— არ დაგიბრუნებ სალამსა
სალამს ვერ გამომრჩებიო;
ფეხზე შემომკრა კომბალი,
გადამისხვრია მვლებიო,
ნამსხვრევ ვაგროვე ერთიან
ჰარკში ჩავყარე მალიად,
მერე ბალჩაში ჩავფალი
ყველა ნამცეცი მვალია...
იხარა ორმა ცაცხვმა და
შინდი მესამე არია,
მოვჭერი შინდი, გავთალე
საკრავი ხმადამტკბარია...

ვუკრავ და ვუკრავ მას მერე
ბანს მაძლევს ზენა ქარია,
ლამაზ-ლამაზი ქალები
კმაყოფილები არიან.

# ცოლის ძმაო, ნუ ტრაბახობ

ცოლის ძმაო ნუ ტრაბახობ,
ნუ იწონებ მეტად თავსა:
ვერვინ მჯობსო შრომაშიო,
იმისთანა მტერს და ავსა...
გახსოვს, ერთხელ ხელსა თესდი,
ფრჩხილით ხნავდი, ფარცხავდიო,
მომკილს ზურგით მიათრევდი —
შენი ცოდვით გავთავდიო,
მიათრევდი ტომარასა
მხოლოდ მკლავის ამარაო,
უხაროდათ კაჭკაჭებსა —
ანახევრეს ტომარაო;
გასაშრობად რომ გაშალე —
ვაი, რაც რომ კატამ ქნაო,
გაგიფანტა მარცვლეული...
შე ტრაბახა ცოლის ძმაო.

## ჭერიო, ჩემო ცელო!

ჭერიო, ჭერიო, ჭერიო,
ცელო, შენ გიმღერიო,
თუ არ ლესე ცელიო,
ბალახს ვერ მოცელიო,
ჭერიო, ჭერიო, ჭერიო,
ცელო, შენ გიმღერიო,
ბევრი ვუსვი ცელიო,
საუხმესაც ველიო.
ჭერიო, ჭერიო, ჭერიო,
ცელო, შენ გიმღერიო,
ამ სიმწვანის ნავსით —
ბალახს მოჭყვა ხავსით,
ჭერიო, ჭერიო, ჭერიო,
ცელო, შენ გიმღერიო,
თუ არ ლესე ცელიო,
ბალახს ვერ მოცელიო,
ჭერიო, ჭერიო, ჭერიო,
ცელო, შენ გიმღერიო.

# დავდგი ოდა

ზღვის ნაპირას დავდგი სიმწრით
პაწაწინა ოდა.
მერე სული თორმეტი წლის
გოგოს ვასმახოდა...

— დამაცადე, გავიზარდო,
დამაცადე, ბიჭო!
შენთან ყოფნას ჯერ დედიკოს
თბილი კალთა მიჯობს.

— შენ რა გიჭირს, გოგონია,
დედა გეხუტება.
მე კი უცხო მიწის ბუღში
სული მეხუთება.

თავს გადგამენ მწვანე გვირგვინს,
გატარებენ ციმციმ...
მე საბრალოს ჯარისკაცის
რკინის ქუდი მიმძიმის.

შენს შხვართალა თითებს ნათელს
აფრქვევს ბეჭდის თვალი.
ჩემს თავზე კი შემართულა
ვებერთელა ხმალი.

შენთან ფუტკრის გუნდი ბზუის,
დღე თაფლისფრად ღვივის.
ჩემს ახლოს კი გრუხუნია,
ტყვიის წვიმა წივის.

ფეხქვეშ მოლი გიხასხასებს,
მზე საკინძეს გიხსნის...
ჩემს ფერხთით კი ამღვრეული
სდის მდინარე სისხლის.

## გამაგზავნა დედამთილმა

გულბოროტმა დედამთილმა
გამაგზავნა სისხამ დილას:
— ზამთრის ბალახს მომიტანდე!
ზაფხულის თოვლს მომიტანდე! —
დამაბარა დედამთილმა.

მივდიოდი, მივტიროდი,
ქვასაც ცრემლი მოვადინე...
გზად შემომხვდა ჩემი ძმაი,
ჩემი ძმაი მონადირე.

— დაო, დაო, საით მიხვალ? —
გაკვირვებით ძმამ იკითხა.

— გულბოროტმა დედამთილმა
გამაგზავნა სისხამ დილას:
— ზამთრის ბალახს მომიტანდე!
ზაფხულის თოვლს მომიტანდე! —
დამაბარა დედამთილმა.

— ჰე, შროშანო, საცოდავო,
ზღვის ნაპირას მიდი, დაო;

მოიცილე დარდის ლოდი,
ჩაიწყნარე გულში შფოთი;
ამოხაპე ზღვის ქაფი და
დაამტვრიე ფიჭვის ტოტი, —
მიაშავე შენს დედამთილს,
მიაქვავე იმის ლოდინს.
ზაფხულის თოვლს ნიშნავს ქაფი,
ზამთრის ბალახს-ფიჭვის ტოტი.

— რძალო, რძალო, გულთმისანავ,
გამომავლე პირში ჩალა?..
ვინ ოხერმა გიკარნახა,
ვინ ეშმაკმა მიგასწავლა?!

— მიკარნახა უფლის მალამ,
გაჭირვებამ მიმასწავლა!

## როცა ვიზრდებოდი

ჩემს მშობლებთან ვიზრდებოდი,
და თავს ვგრძნობდი ნეტარად.
ვიზრდებოდი, შემნატროდა
მთელი სოფელ-ქვეყანა.

ძმებთან ერთად ჭვავსა ვმკიდი,
დებთან ერთად სელს ვთხრიდი.
ასე ლაღად სიყმაწვილის
გიჟმაჟ წლებში შევფრინდი.

ყანიდან რომ ვბრუნდებოდით
სიმღერ-სიმღერ მარხილით, —
ჩამესმოდა დედაჩემის
თბილი, წყნარი მახილი:

— შემოგევლოს დედა, შვილო,
რა საამოდ კისკასობ!
წადი ახლა და ბეღელში
მოისვენე, მვირფასო!

იქ ფუმფულა ლოგინს ვშლიდი,
მივცურავდი სიზმარში...
მაღვიძებდა ცის ნათელი
და გიჟმაჟი რიჟრაჟი.

არემარე გაზაფხულის
ფარჩა-ატლასს იცვამდა.
ბრიალა მზე ოქრო სხივით
ოქროს გვირგვინს მიწნავდა.

...ის დღეები ოქროსფერი
მართლა ოქროდ დაფასდა...
....გადავსახლდი დედამთილთან,
დედამთილთან კაპასთან.

ჭვავსა ვმკიდი მაზლებთან და
სელსა ვთხრიდი მულებთან.
უმადური დედამთილი
წყევლით მანადგურებდა.

ყანიდან რომ ვბრუნდებოდი
ქედდახრილი, დაღლილი, —
ჩამესმოდა დედამთილის
ღვარძლიანი მახილი:

— წადი ახლა და მინდორში
აბალახე ხარები!
ვიყავ მართლა გულმოკლული,
მართლა გაუხარები,

მაგრამ მაინც მივდენიდი
ხარებს საბალახოდა.

კვლავ როკაში დედამთილის
მკვახე ხმა მომძახოდა.

ხარებს ვედექ, თან ვმღეროდი,
ჯავრს სიმღერით ვიკლავდი.
ვოცნებობდი და იმედის
ყვავილს ვკრეფდი ცისკრამდი...

მზე ბრწყინავდა, მაგრამ გვირგვინს
უკვე აღარ მიწნავდა...
ჩემი ბედი უკვე სევდის,
დარდის კაბას იცვამდა...

საძოვრიდან ვბრუნდებოდი
უსაშველოდ დაღლილი.
ჩამესმოდა გულბოროტი
დედამთილის მახილი:

— წადი ახლა, ჭვავი დაფქვი,
ჭვავი დაფქვი, ტიალო,
თუ გინდა რომ შენი ბედი
წალმა შევატრიალო!
ჭვავს ვფქვავდი და ვაბრუნებდი
გაჭირვების დოლაბებს...
სახელოთი ვიმშრალებდი
ცრემლებს, სიმწრით მონადენს.

გაიგონა ჩემმა ქმარმა
ჩემი მოთქმა-ქვითინი.
უცებ სახე მოეღრუბლა
და გაუხდა ფითრივით.

დედას უხრა: — ეს ქვითინი
კაცს ქვის გულსაც შეურხევს...
ვატყობ, უჭირს, ძლიერ უჭირს
ჩემს საცოდავ მეუღლეს.

შენს ქალიშვილს ნებივრობით
სხეული უთიმთიმებს...

ჩემი ცოლი ტანჯვით ჭვავს ფქვავს,
გულმოკლული ქვითინებს.

შენი ქალი ღვინით იბანს
ხელ-პირს, დადის კუნკულით...
ჩემს მეუღლეს ცრემლებით აქვს
სახე ჩამოღუმპული.

შენს ასულს რომ აბრეშუმში
ხვევ, ესაა ქალობა?
დედაჩემო, გაიმეტე
ჩემს ცოლზედაც წყალობა!

# ჭრელო გუგულო

— ჭრელო გუგულო, მოდი, ხმა გამე!
სად გაათიე წუხელის ღამე?

— ბაღში, რტოებზე ვათევდი ღამეს,
მინანავებდნენ ფოთლები მწვანე.

— იქ ხომ არ დაგრჩა, გუგულო, რამე?
იქ, სადაც წუხელ ათევდი ღამეს?

— კი, დამრჩა, ჭრელი ბუმბული დამრჩა,
ბუმბული — ჩემი ჩითი და ფარჩა...

წავალ, მოვმებნი შევარდენს ერთი,
მთლად ასე როგორ გამწირავს ღმერთი!

შევეხვეწები, ნაღველის მჩენი,
დამიბრუნე-თქო ბუმბული ჩემი.

ბევრი ვეღმერთე შევარდენს, ბევრი,
ეჰ, გაგიმტყუნდეთ თქვენ ასე მტერი!

ვერ დამიბრუნა ბუმბული, ვერა,
ესაა ჩემი ბრმა ბედისწერა!

— უმცროსო დაო, მოდი, ხმა გამე!
სად გაათიე წუხელის ღამე?

— წუხელ ბეღელში ვათევდი ღამეს,
თავს მედგა რუტას გვირგვინი მწვანე.

— იქ ხომ არ დაგრჩა, დაიკო, რამე,
იქ, სადაც წუხელ ათევდი ღამეს?

— კი, დამრჩა, რუტას გვირგვინი არ ჩანს,
ქალწვილქალობაც ბეღელში დამრჩა.

წავალ მოვძებნი შამიკოს ერთი,
მთლად ასე როგორ გამწირავს ღმერთი!

შევეხვეწები, ნაღვლის მჩენი,
დამიბრუნე-თქო გვირგვინი ჩემი.

ბევრი ვეღმერთე შამიკოს, ბევრი,
ეჰ, გაგიმტყუნდეთ თქვენ ასე მტერი!

ვერ დამიბრუნა გვირგვინი, არ ჩანს,
ახალგაზრდობაც ბეღელში დარჩა...

## ნეტავ ვისია

ეზოს ვერ დაჰფრენს შავი ყორანი, —
მოფენილია მაიორანით.*

ნეტავ ვისია ეზო კოპწია?
— ჩვენი და ჩვენი მამიკოსია!

— დაო, სარკმელი მაგრად ჩარაზე,
გახედე, ვინმე მოჩანს შარაზე?

— ვხედავ კაპრალს და ვხედავ გენერალს,
სხვებში არაფრით არ ამერევა.

ჩემს ძმას ებებენ, ომში იწვევენ.
ომში რამდენ ყრმას დაამიწებენ!

ძმა პატარაა, ომის რა იცის!
ომში რომ მიჰყავთ, არც კი განიცდის.

გული დიდი აქვს, — მთას გადაუვლის.
კოხტა, ფეხმარდი ჰყავს ბედაურიც.

ბიჭი და ცხენი ერთად იზრდება.
ხვალ ომის ცეცხლი აგიზგიზდება.

* მაიორანი — სურნელოვანი მცენარე

ჩემს ძმას ტყუილად აიმედებენ...
ვაი, რამდენ ძმას გაიმეტებენ!

— მამავ, შეკაზმე ბიჭის მერანი,
შვილს ვერ დაგიხსნის ახლა ვერავინ!

მიჰყავთ, იწვევენ ომის ღმერთები,
რიგაში დიდ ჯარს შეუერთებენ.

ნიშანი მაინც დასდე რაიმე
შვილს, სანამ ომის კვამლი გაირევს.

— რა მდიდრულ ნიშანს დავდებ საბრალოს,
არც გრენადერობს და არც კაპრალობს.

ჰუსართ, გრენადერთ რაღა გალუნავთ, —
კვერნის ლუნლულა ქუდი ახურავთ.

ჩემს შვილს სდის სიმწრის ოფლი წურწურით,
ქუდი აქვს შავი და გაქუცული.

უფროსებს განა ბედი უტირით? —
კოხტად აცვიათ ლურჯი მუნდირი.

ჩემს შვილს ბედი არ წყალობს წყეული, —
რუხ ქურთუკშია გამოხვეული.

უფროსთ არა აქვთ რამ დაბრკოლება...
ამაჟ ბედაურთ დააქროლებენ.

ჩემს შვილს, — ოცნება რომ დაუხამთრეს —
შავრა ცხენი მლივს გამოვუხარდე.

შორი გრუხუნი სერებს დაუვლის,
მოდის, მოჭექავს მმის ბედაური.

ცხენზე არა ჩანს ბიჭი მღიმარი —
ომში კუშტი და მაღლით მეივარი.

ნეტავ სად ჩაკლეს თავაღერილი?
უნაგირზეა მხოლოდ წერილი.

დამ წაიკითხა სწრაფად წერილი
და დარჩა სახტად, გულდასერილი...

მმისგან სახელი და გვარი დარჩა...
ის არ მომკვდარა მხდალად და ლაჩრად,

მაგრამ მიწას ხომ მოაკლდა მხვნელი...
მამაც ხომ დარჩა ცრემლების მღვრელი!

ოჰ, ომის მომგონს გაუწყრეს მადლი —
წაგვართვა ერთი ვაჟკაცი ნაღდი.

## წავიდეთ, ქალავ...

— ქალავ, წავიდეთ, გავცეხვოთ ბარდა,
გადავიყაროთ გულიდან დარდი!
— ოჰ ვერ წამოვალ, ძვირფასო, რადგან
არ მაქვს მალღონე — გავცეხვო ბარდა.

— ქალავ, წავიდეთ, გავლეწოთ ქერი,
გახედე, უკვე ცისკარი მღერის!
— მე რომ ვარ, ისე მოგექცა მტერი,
სად მაქვს მალღონე — გავლეწო ქერი.

— ქალავ, წავიდეთ, გავლეწოთ ჭვავი,
გახედე, ტყე და მინდორი ჰყვავის!
— ისე ვარ ახლა, ვერ მოვწყვეტ ყვავილს,
სად მაქვს მალ-ღონე გავლეწო ჭვავი.

— იქნებ ხორბალი გავლეწოთ, ქალავ,
მზე გადიხარა, მზე დაიღალა...
— რომ წამოვიდე, გულს შეგიღონებ,
გამოცლილი მაქვს ჯანი და ღონე.

მაშინ დუქანში წავიდეთ, წამო,
დღევანდელი დღე არ ჩამიმწარო!
— წავიდეთ, მხოლოდ დუქანი მართობს,
არ მიმატოვო ოღონდ იქ მარტო.

## ჩემო მშობელო დედავ

მადლობას ვწირავ შენს ხელებს, დედა,
რომლითაც ციმციმ დამატარებდი;
ყველგან რომ ჩემზე ოცნება გდევდა
და ცივ ნიავსაც არ მაკარებდი.

მადლობას ვწირავ შენს ბაგეს, დედა,
რომლისაც ვიგრძენ ალერსი ტკბილი.
და როცა თვალში გამოვიხედე,
თავს მადგა შენი მაღალი ჩრდილი...

მადლობას ვწირავ შენს გონს და ნამუსს, —
უმანკოება მომმადლე რითაც...
მზისფერი ნამით გზა დამინამე
და მიამებდი ტკივილებს დიდხანს...

...ობლად ვარ ახლა და ცრემლი მახრჩობს,
მტეხს უშენობა შიგ გულში, დედა,
საბადებელი ჩემი და სარჩო
დარდია ახლა, დარდი და სევდა.

ვისდა შევჩივლო ნაღველი აწი,
ვინ გაიმეტებს ნუგეშსს და ალერსს.
ჩემი სიმდიდრე და ჩემი განძი
წაჰყვა შენს ბინდში ჩაქცეულ თვალებს...

დიდხანს გეძახდი წუხელის, დედა,
კი არ გეძახდი, — ვეჩურდი თითქოს...
დავეურებ შენს ცივ, გალიგვულ ცხედარს,
ამაოდ ვითხოვ კვლავ შენგან სითბოს...

თეთრი ფიცრებით გიგებენ ბინას —
უკარფანჯრებოს და უსინათლოს.
სად შეგხვდე აწი, სად მოვირბინო,
სად დაგელოდო, სად მოგინატრო!

რომელი მხრიდან გელოდო უნდა?
მოხვალ? თუ მოხვალ, რომელ უბნიდან?
ვაი, რომ აღარ მოხვალ... დრომ უნდომ
შენს გზას სიცოცხლე გადაუბინდა.

ვინ დამიამებს მე აწი ტკივილს,
ვის დავუჯერო ფიცი და მტკიცი...
ვივლი დღედაღამ, ვივლი და ვივლი,
მაგრამ ველარსად შეგხვდები, ვიცი!

## ვის ჩაემინა?

ტყეა ოქროსფერ ფერში მფეთქავი,
ვის ჩაემინა ტყეში ნეტავი?

ტყესთან მზეს თვალი გაბრწყინებია,
ტყეში აღვიძებს ალბათ მელიას.

ვერ გაიმეტებს დასამიწებლად...
მიდის მელიას გასაღვიძებლად.

— ადექ, მელიავ, რა დროს ძილია,
შენი მოძმენი დახოცილია.

ადექ, უშველე თავს, შე საწყალო!
ჩვენ თოფიანი კაცი არ გვწყალობს.

გასწი, მელიავ, ირგვლივ მტერია,
მონადირენი შენ მიგელიან.

ტყეში მწევრები დაწანწალებენ,
გასწი სიცოცხლეს ჩაგამწარებენ.

გასწი, შიშისგან მთლად ნუ წახდები,
თორემ დღეს ტყვიის წერა გახდები.

ტყეში კაცები დახორხოცობენ,
მიგაკლავენ და ტყავს გაგაძრობენ.

გახვეულია დღე მზის ალმურში,
ვის ჩაემინა ნეტავ მამულში?

მზეს ოქროს თვალი გაბრწყინებია,
მამულში ასულს ჩასძინებია.

ასულს სიზმარი აკრთობს ნეტარი...
ვინ გააღვიძებს ასულს ნეტავი?

ასული სიზმრის დენამ წაიღო...
ძმა გააღვიძებს, ალბათ, დაიკოს.

ჯერ ვერ ჩაუქრობს ცისფერ იმედებს...
ჯერ გასათხოვრად ვერ გაიმეტებს.

და ეგულება დასაფიცებლად,
მიდის დაიკოს გასაღვიძებლად.

— ადექ, დაიკო, და გაიქეცი,
ადექ, ფრინველად გადაიქეცი,

გადაიფრინე ტყე და კორდები,
გაგათხოვებენ და დამშორდები.

ახლოვდებიან უკვე მაყრები —
მხიარულები და ამაყები.

ეხლა გაივსო უკვე სტუმრებით,
შენ მათს სტუმრობას ნუ ეხუმრები.

შენ თუ გგონია აქ გაცხოვრებენ,
საყვარელ მამულს დაგაშორებენ.

ეს დღე მუდამდღე გემახსოვრება...
იქ დაიწყება სულ სხვა ცხოვრება.

ადექ, დაიკო, და გაიქეცი,
ადექ, ფრინველად გადაიქეცი.

## ვნახე ოფოფი

ვნახე ოფოფი,
შეშაზე იჯდა,
აბრეშუმისგან ბუდეს იწყობდა,
მერე კვერცხს სდებდა.
კვერცხი წამოვიღე,
დედას მივუტანე, დედა გავახარე,
დედამ მომცა ფუნთუშა,
ღორს მივეცი ფუნთუშა,
ღორმა მომცა გოჭი,
გოჭი მივეც მგელს.
მგელმა მომცა ლეკვი,
ლეკვი მივეც ტბას;
იმ ტბამ მომცა თევზი,
თევზი მივეც მამას,
მამამ მომცა მროხა,
მროხას მივეც თივა,
მროხამ მომცა რძე,
რძე ქილაში შევინახე,
ჩიტბატონამ დამიქცია,
ჩიტბატონას ავუქშიე,
ავუქშიე და გაწვიმდა,
წვიმის წყალი ავიღე და
სახლში ჰეშვით შევიტანე.

# წუხელ არ მძინებია

წუხელ არ მძინებია,
მინდვრად რემას ვმწყემსავდი,
მინდვრად რემას ვმწყემსავდი.

წუხელ რემას ვმწყემსავდი,
სოფლის ასულს ვუხმობდი,
ტურფა ასულს ვემახდი:

— ცოლად არ გამომყვები, სოფლის ტურფა ასულო,
დედისერთა ასულო, ცისკენ ალვად წასულო?

— ფრენით გამოგყვებოდი, მაგრამ როგორ დავტოვო
ჩემი თბილი კერია, მშობლიური კერია?

— დედისერთა ასულო, მამაჩემის მამული
თქვენს მამულზე ვრცელია, დიდია და ვრცელია.

— ჩვენს მამულთან ვერ მოვა, ნეკერჩხლები ჭყვავიან
ირგვლივ, ჩვენთან, ჭაბუკო, დოვლათი და ხვავია.

მამულის შუაგულში ცეკვავს ახალგაზრდობა,
სადმე თუა, — იქაა სიმღერა და გართობა.

...სატრფოსთან რომ ვცეკვავდი, ხელით დამატარებდა,

ისე დამატარებდა, ნიავს არ მაკარებდა.

თავზე გვირგვინს მადგამდა, თითს ბეჭდებით მიმკობდა,
მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა, მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა.

ცულლუტ ბიჭთან ცეკვისას
სიმშვიდე არ მეღირსა,
აქეთ-იქით მისროდა, თითქოს მაბურთავებდა.

გვირგვინი დამემსხვრა,
მხედავს მთელი თემ-შარა...
და ბეჭდებიც დამცვივდა, საყვარელი ბეჭდები.

...ფრენით გამოგყვებოდი,
მწყემსო, მაგრამ კერია
მითხარ, როგორ დავტოვო, მშობლიური კერია.

## დედამთილმა გამაგზავნა

დედამთილმა დამანელა, დედამთილმა გამამწარა,
ერთხელ ხელის გასამარგლად უთენია გამაგზავნა,
ერთ დღეს ხელის გასამარგლად უთენია გამაგზავნა.

— თუ გამარგლავ ხელს მთლიანად, დაბრუნდები უვნებლად,
არ გამარგლავ, არ იფიქრო უკან გამობრუნება,
არ გამარგლავ, არ იფიქრო უკან გამობრუნება.

ვმარგლე, ვმარგლე, ხელი ვმარგლე, ნახევრამდე მივედი,
მზეც ჩავიდა, ჩამოღამდა, გადამიწყდა იმედი
შინ წასვლისა... ჩამობნელდა, გადამიწყდა იმედი.

გზისპირამდე მივაღწიე, შეიცვალა ამინდი,
მწვანე ცაცხვად ვიქეცი და ფესვები ღრმად გავიდგი,
მწვანე ცაცხვად ვიქეცი და ფესვები ღრმად გავიდგი.

უცებ წვიმა წამოვიდე, შხაპუნა და კამკამა,
იქვე გაჩნდა ჩემი ქმარი, აიტანა კანკალმა,
მერე თავი შეაფარა ჩემს ტოტებქვეშ საწყალმა.

შემოვხვიე ჩემი მწვანე, დაბურული ტოტები,
გადავფარე და დავთბუნე ჩემი ლორთქო ფოთლებით,
მთლად დავფარე და დავთბუნე ჩემი ლორთქო ფოთლებით.

— დედავ, წვიმს და ცაცხვქვეშ ვდგავარ, ტანთ ფოთლები მაცვია,
არც ვსველდები და არც მცივა, ნეტავ ეს რა ცაცხვია?!
არც ვსველდები და არც მცივა, ნეტავ ეს რა ცაცხვია?!

— შვილო, შვილო, ეშმაკი ზის ცაცხვზე, მოსჭერ ახლავე,
ხმლით მოსჭერი, თორემ ვიცი საქვეყნოდ დაგძრახავენ,
ხმლით მოსჭერი, თორემ ვიცი საქვეყნოდ დაგძრახავენ.

ხმალი ერთხელ რომ შემომკრა, — სიმწრისაგან გავფითრდი,
მეორედ რომ დამკრა ხმალი, — სისხლი წამსკდა, ავტირდი,
მესამედ რომ დამკრა ხმალი, — აი, სწორედ მაშინ ვთქვი:

— ქმარო, ქმარო, ქმარი ხარ თუ ალქაჯებთან შეთქმული?
ცაცხვი შენი მეუღლეა, შენი ცოლი ერთგული,
ცაცხვი შენი მეუღლეა, შენი ცოლი ერთგული.

ეს ფოთლები სიტყვებია — ალერსად რომ დნებოდა,
ეს ფოთლები სიტყვებია — ალერსად რომ დნებოდა.

...იმ დღემ უღვთოდ გამამწარა, სიკვდილის გზა მასწავლა, —
როცა სელის გსამარგლად დედამთილმა გამგზავნა,
როცა სელის გსამარგლად დედამთილმა გამგზავნა.

# მდინარე შირვინტა

მდინარე შირვინტავ,
რად მიედინები,
სად მიედინები
სულ, შეუჩერებლად?
სად მიედინები
სულ შეუჩერებლად?
დღითა თუ ღამითა,
და ერთი საათით,
და ერთი წამითაც
რატომ არ ჩერდები.
— ო, როგორ გავჩერდე,
ტბები მაჩქარებენ,
გვერდით მიდგანან და
სიჩქარეს მმატებენ.
ტირის ქალიშვილი,
ტირის, ტირის, ტირის,
ცრემლებს აღვარღვარებს.
ცრემლი ღვარად მოდის,
ტირის დღისითა და
ტირის საღამოთი,
და ერთი საათით,
და ერთი წამითაც,
ვერ შეჩერებულა
საბრალო ქალიშვილი.

— როგორ გავჩერდეთ,
როგორ გავჩერდეთ,
დები მიშლიანო —
ამბობს ქალიშვილი.
გვერდით მისხედან და,
გვერდით მისხედან და
ხევდას მმატებენო —
ამბობს ქალიშვილი.

## ოი, სვიავ

ოი, სვიავ, მწვანე სვიავ,
სანამ მარტო იყავ, შენთვის,
წყნარად იყავ სვიავ,
სუფთა ქერს რომ შეერიე,
სიმშვიდესაც შეელიე,
ვხედავ, ჩხუბობ სვიავ.
ქალო, ქალო, თეთრო ქალო,
შრომანივით ყელიანო,
უწინ მხიარული იყავ,
ახლა მოგიწყენიათ.
ემაწვილ კაცს რომ მიეც ხელი,
შენც სიმწარე შეგხვდა ბევრი.
— ჰო, მაზლებო, მხიარულნო,
ფრთხილად, ფრთხილად იყავით,
არ მოტეხოთ ფეხი სკივრებს
პატარძლისთვის მოხატულებს,
არ მოტეხოთ სკივრებს ფეხი,
თორემ დურგალს სად ვიშოვით —
მივამაგროთ სკივრებს ფეხი.
— შიში ნუ გაქვთ, მვირფასებო,
ვიქირავებთ ტილქელ დურგალს,
ფეხი ისე მიამაგროს, —
ვერ გაიგოთ ვერაფერი.

— ფრთხილად, ფრთხილად შემოზიდეთ
მოხატული სკივრები,
საკეტებსაც ნუ დაამტვრევთ,
ზეინკალი გაჭირდება,
ბევრი ჯაფა დაგვჭირდება —
გაუფრთხილდით საკეტებს.
— ნუ გაქვთ შიში, ვიქირავებთ
ჩვენ ზეინკალს რიგელს,
საკეტებსაც მივამაგრებთ,
შენიშნავდეთ ვიდრე.
— ოი, ფრთხილად შემოზიდეთ,
მოხატული სკივრები,
ტილოები არ დაცვივდეს,
პატარძალი არ ატირდეს,
არ გაფუჭდეს სკივრები.
ასე ნაზად ვინღა დაქსოვს,
თხელ ტილოებს ვინღა დაქსოვს,
სად ვიპოვოთ მქსოველი,
— შიში ნუ გაქვთ, ვიქირავებთ
მქსოველს ვილნიუსელს,
თხელ ტილოებს ის დაგვიქსოვს,
ვერც გაიგებთ, ისე...

## ჭოი, ასულო

ჭოი, ასულო,
ყმაწვილო ქალო,
თუ გამომყვები
ბატონის მსახურს.

ჩვენთან მთები
კალისაა,
ბორცვებია ვერცხლისა,
მდინარე დის ღვინისა,
აბრეშუმის ჯირისა.
ფსკერი ოქროს ქვიშისაა,
მარგალიტის წყალია,
ჩვენთან მთები ვერცხლისაა,
ხიდებია თითბერისა,
ცა ნამდვილი ლალია.

ერთი მილი გავიარე,
მერე კიდევ ერთი,
მესამეს რომ მივადექი
შევჩერდი და შევკრთი.

სადაა ის კალის მთები,
ან ბორცვები ვერცხლისა,
ან მდინარე ღვინისა

აბრეშუმის პირისა,
მარგალიტის მირისა...

ან ბრჭყვიალი სად არის,
წყალში ოქროს მტვერისა,
აბრეშუმის ფერისა
და ზურმუხტის ფერისა,
ან ხიდები თითბერისა,
ან ბორცვები ვერცხლისა...
ამბობს გოგო მოწყენილი
ფერი ადევს ფერფლისა.

— ჰოი, ჰოი, ასულო,
შე პატარა სულელო,
ჩვენთან მთები თიხისაა,
მდინარე კი ცივი წყლის,
დის კრიალა ცივი წყალი.
ფსკერი ქვიშით მოჰფენია,
მდინარისპირ ლემნა უვავის,
ჭალის იქით სოფელია.
მთები ჩვენთან კაჟისაა,
ხიდები კი მუხისა.
წუხილს ნუღარ მიეცემი,
წუხილს ნუღარ მიეცემი,
დახშე კარი დარდისა.

## ლურჯო მტრედო

ჰე, ლურჯო მტრედო
მიფრინდი ზღვასთან,
მიფრინდი ზღვასთან.

მიფრინდი ზღვასთან,
შესვი ზღვის წყალი,
შესვი ზღვის წყალი.

თან ყური უგდე —
რაზე საუბრობს,
რაზე საუბრობს
ყმაწვილი ქალი.

რაზე საუბრობს
როცა ლოგინს შლის,
რომ დააძინოს
ბებერი ქმარი:

— ბებერო, ჩქარა ლოგინში ჩაწექ —
ჯირკივით მკვდარი,
როგორც უწვება ჭინჭარი ღობეს,
როგორც უწვება ჭინჭარი ღობეს,
მე მოგიწვები, ყმაწვილი ქალი.

ჰე, ლურჯო მტრედო,
მიფრინდი ზღვასთან,
მიფრინდი ზღვასთან,
შესვი ზღვის წყალი,

თან ყური უგდე
რაზე საუბრობს,
რაზე საუბრობს ემაწვილი ქალი,

როცა ლოგინს შლის,
რომ დააძინოს
ემაწვილი ქმარი:

— ემაწვილო ქმარო, ლოგინში ჩაწექ,
ვით აბრეშუმი ატლასში მკრთალი,
ვით აბრეშუმი ატლასში მკრთალი,

როგორც ქალწულის თავს ეტმასნება
რუტას გვირგვინი, მშვენებით მთვრალი,
მეც მოგიწვები, ემაწვილი ქალი...
ჰოი, რუტავ, რუტავ მარადმწვანევ

— ჰოი, მარადმწვანევ, რუტავ მშვენიერო,
რად არ ხასხასებო,
ზამთარ-ზაფხულაო.

— რა მახასხასებსო
ზამთარ-ზაფხულაო,
თუ არ დამთესავსო
ბაღში ტურფა ქალი.
მაღალ მთაზედაო, თოვლიანზედაო,
ტრიალ მინდორზეო, ქალმა დამთესაო.
ქარი მეხლებაო, წვიმა მასველებსო,
გული მელევაო, გული მელევაო
ნახირი მძოვს, მწყემსებსა კი
ჩემს ჩრდილში მინავთო,
მხვნელ-მთესველნი მხნავენ,
რით ვიხასხასოო...

— ჰოი, ქალწულოო,
რად არ მღერიხარო
დილა-საღამოსო, დილა-საღამოსო,
— როგორ ვიმღეროო
დილა-საღამოსო,
სატრფოს დედაჩემმა
არ მიმათხოვაო.
მიმცა სატანჯველსო,
ღრმუ ბერიკაცსაო —
როგორ ვიმღეროო,
როგორ ვიმღეროო...

# დობილები დგანან გამოწყობილნი

დობილები დგანან გამოწყობილნი
საპატარძლო მორწყენილი ზის.
— ოი, რაზე დარდობ, რაზე,
ცრემლი რად გაქვს ქალო, თვალზე,
სადარებო მზის? —
ეკითხება დობილი.

ოი, რაზე დარდობ, რაზე,
ცრემლი რად გაქვს, ქალო, თვალზე,
ასე ნორჩს და ასე ლამაზს,
რუტას მწვანე გვირგვინი რომ
გამშვენებს?

— თუმცა ასე ნორჩიც ვარ და,
თუმც გვირგვინიც თავზე მადგას,
გულს მიშანთავს სინანული,
დავშორდები დედას რადგან.

დედას როცა დავშორდები,
თვალში ცრემლი მიტომ ბრწყინავს,
დამიბერავს ცივი ქარი,
დამიბერავს ცივი ქარი,
დამასველებს თავსხმა წვიმა.

სადაც იჯდა საპატარძლო ჩვენი,
მიწა ისე გაიჟღინთა ცრემლით,
ამოვიდა იქ შროშანი თეთრი, —
ამბავია მველი...

საპატარძლო ფეხზე ადგა,
ეკითხება გვირგვინს თვისას,
— წამოხვალო ჩემთან ერთად,
შენ გვირგვინო, რუტას ხისავ?

ისე სხარტად უპასუხა,
თითქოს წიგნში კითხულობდა
რუტა პასუხს ჭკვიანურს:

— არ დავიშლი შენთან ყოფნას,
ნაჩვევი ვარ შენთან ოხვრას,
როცა სუფრას მიუჯდები
ვიხასხასებ მე შენს თავზე,
ჩამომიღებ თეთრი ხელით,
მოგადგება თვალზე ცრემლი,

თუმც იცეკვებ, ლხინში ხშირად,
შეგაწუხებს მაინც ფიქრი,
თმებში რომ არ ჩაგიწნავენ აბრეშუმს და
თავზე აღარ დაგადგამენ რუტას გვირგვინს.
თავზე აღარ დაგადგამენ რუტას გვირგვინს,

ხელზე არ წამოგაცმევენ ოქროს ბეჭდებს,
ახალგაზრდა ასულს აღარ გიწოდებენ შენ,
ოქროს ბეჭდებს აღარ წამოგაცმევენ,
აღარავინ დაგიძახებს ყმაწვილს,
რძლებთან ერთად ივლი ყველგან,
აბრეშუმის ლეჩაქს თავზე დაგხურავენ,
ახალგაზრდა არ იქნები აწი!..

# მიწამ ვალი მისცა ბალახს

მიწამ ვალი მისცა ბალახს
ბალახმა კი — ნამსაო,
ნამმა ნალი გაისტუმრა,
ნალი უხდის — რაშსაო.

ის უნაგირს ისტუმრებს
და უნაგირი — მხედარსო,
მხედარი კი ქუდს უხდიდა
გოგოს, რუტის მთესავსო.

## საით მიხვალ, ჭაბუკო?

— საით მიხვალ, ჭაბუკო?
— საითა და ბაზარში.
— საით მიაჭენებ ცხენს?
— საითა და ბაზარში.
— რას იყიდი, ჭაბუკო,
რას იყიდი ბაზარში?
— ოქროს ბეჭედს ვიყიდი,
ოქროს ბეჭედს — ბაზარში.
ოქროს ბეჭედს გიყიდი,
მშვენიერო, ბაზარში.

ოქროს ბეჭედს ვატარებ
ჩემთვის ნაყიდს ბაზარში,
სატფოს არ დავივიწყებ,
მეხსომება მარადის.

## სარჩევი

მწვანე რუტავ . . . . 5
რად ტირი, ლამაზო ასულო . . . . 7
ეს რა პატარძალი ვნახე . . . . 9
მეზობელო, საყვარელო . . . . 10
ვზივარ სარკმელთან . . . . 11
ეზოს გვიდა ასული . . . . 12
ორი მამალი თეთრ ბარდას ცეხვავდა . . . . 13
ხასხასა მდელოზე დგას მწვანე ცაცხვი . . . . 14
ფრთებო, ქარისაო . . . . 16
ვფქვავ, ვფქვავ მარტო . . . . 18
ოი, მშობელო დედა! . . . . 19
ოქროს ბეჭდიანი თეთრი ხელის ბალადა . . . . 20
დედის მამულში . . . . 22
მატყუარა, ცბიერმა მაჭანკალმა . . . . 25
ოი, ზრდის ზრდის . . . . 26
გამოიცან, პატარძალო . . . . 28
მზე ალაჟლაჟდა . . . . 30
ლიტვაში . . . . 31
მშვიდად, მშვიდად . . . . 34
დავთესე სვია . . . . 37
მითხარ, ასულო . . . . 39
ვისი სელი დგას მდინარის გადაღმა . . . . 40
თავს ვევლები ბედაურს . . . . 41
ჩამოუქროლა ქარმა . . . . 42
მზე ამოდიოდა . . . . 44

იგოგმანე, იხვო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .46
მეტირება და ვტირი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .47
ამხედრებული მოდის ჭაბუკი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .48
როგორც წავალ, ისე მოვალ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .50
სანამ დედასთან ვცხოვრობდი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .52
წვიმა წვიმდა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .54
ტა, ტა, ტა, ხიდზე იდგა თხა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .55
მწვანე ტყის პირას . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .56
ლული, ლული . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .58
ძნელია, ძალზე ძნელია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .60
დედაბერი აცხობდა ფუნთუშებს. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .61
შვრიამ თქვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .62
ხომ არ გინახავთ ჩვენი ძმა? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .64
მინდვრის ბოლოს იდგა მუხა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .66
ვაი, რა საოცარია, რა უცნაურია. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .67
ვქსოვდი, ვქსოვდი წმინდა ტილოს . . . . . . . . . . . . . . . . . . .68
ვილნიუსში მწვანე თალი იყო. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .70
პოი, ტყეში იშრიალეთ ხეებო! . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .73
წავედით ტყეში. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .74
პოი, ვავლებდი, ვავლებდი კვალს კვალზე . . . . . . . . . . . . . .76
მთაზე იდგა წყლის წისქვილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .77
პოი, ნაძვის ხეო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .80
მწვანე მდელო. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .82
უჩა ლილა, ჩემო შვილო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .83
მოდის ობოლი გოგო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .84
საფლავთან ბავშვი ტირის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .86
იგრიალეთ დოლაბებო!. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .87

ჰოი, მერცხალო! ........................... 88
მუხა და ცაცხვი ........................... 90
ზღვაში ჩაძირული ბეჭედი ........................... 91
შორეული სახლი ........................... 93
წამოვიდა წვიმა ........................... 94
ავადა ვარ, ავადა ვარ ........................... 95
ვაჟი გზისპირს ხნავს ყანასა ........................... 97
გუგუნებენ ტყეები ........................... 98
სადღა არის ის წყარო? ........................... 99
სამყურა დავთესე ........................... 100
მწუხრის ვარსკვლავი ........................... 102
მიუყვება პურის ყანას მამა ........................... 104
მზე ჩავიდა, ჩაესვენა ........................... 106
მზეო, მზეო ღვთის ასულო ........................... 107
მარტომ დავთესე სელი ........................... 108
ჩემო პატარა გოგონავ ........................... 110
ცისკარი ქორწილს იხდიდა ........................... 112
ტყეში ცხენი შევაჭენე ........................... 114
მობრძანდა შობა ........................... 116
ალილოზე ხომ წამოხვალ დაო ........................... 117
დედაო მზეო ........................... 118
ჩემო მშობელო ........................... 119
იფრინე შევარდენო ........................... 120
რატომ იფურჩქნები, მუხავ, ........................... 122
მამას ჰყავდა ორი ვაჟი ........................... 124
ბატონმა თხა გააგზავნა ........................... 126
ჩემო ასულო ........................... 130

ჩემი ქმარი დაატყვევეს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 132
უკვე ვიმღერე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 133
ვინც ლუდს არა სვამს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 134
რუხი ფუტკრები. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 134
კვირა დილით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 135
შუა მინდორში მსხლის ხე ყვაოდა . . . . . . . . . . . . . . . . . . 138
ჩემს ნათესავს. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 140
შესვი ლუდი, შესვი ლუდი! . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 141
ჟღერდა კანკლე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 142
აზნაურის ბეღელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 144
ჩამოუფრინა ფუტკარმა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 146
ცხრარქიანი ქორბუდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 147
სად მამამ შესვა მიდუსი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 148
მიატოვეს მშობლიური რუსნე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 150
დედამ მშობა და გამზარდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 152
წადი, ბეკეკავ, წყალზედა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 154
ცოლის ძმაო, ნუ ტრაბახობ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 156
პერიო, ჩემო ცელო! . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 157
დავდგი ოდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 158
გამაგზავნა დედამთილმა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 160
როცა ვიზრდებოდი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 162
ჭრელო გუგულო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 166
ნეტავ ვისია. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 168
წავიდეთ, ქალავ.... . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 171
ჩემო მშობელო დედავ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 172
ვის ჩაეძინა? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 174
ვნახე ოფოფი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 177

წუხელ არ მძინებია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 178
დედამთილმა გამაგზავნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 180
მდინარე შირვინტა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 182
ოი, სვიავ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 184
პოი, ასულო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 186
ლურჯო მტრედო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 188
დობილები დგანან გამოწყობილნი . . . . . . . . . . . . . . . . . 191
მიწამ ვალი მისცა ბალახს . . . . . . . . . . . . . . . . . . . 194
საით მიხვალ, ჭაბუკო? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 195